ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

1

1967

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ქვირფასო ბავშვებო!

იმ დიდ მატიანეში, რომელსაც კაცობრიობის ცხოვრება ჰქვია, გადაიშალა კიდევ ერთი მორიგი ფურცელი,—ისტორიის წიგნში მყუდრო სავანე ჰპოვა გასულმა—ათას ცხრაას სამოცდაექვსმა წელმა!

გასულ წელს ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა კუთხეში, ცხოვრების ყოველ უბანზე სუფევდა მძლავრი შემოქმედებითი პათოსი, კიდევ უფრო ამაღლდა და გაძლიერდა საბჭოთა სამშობლო.

გასულ წელს სასახელო გამარჯვებები მოიპოვეს საქართველოს მშრომელებმაც,—თქვენმა მამებმა და დედებმა, ძმებმა და დებმა.

გასულ წელს ჩვენი რესპუბლიკის დროშაზე მზესავით აკიაფდა მეორე ლენინის ორდენი!

გასულ წელს მთელმა მოწინავე კაცობრიობამ გულითადი სიყვარულით იზეიმა ჩვენი შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილე!

კიდევ უფრო მეტ სიხარულს მოგვიტანს ახალი ათას ცხრაას სამოცდაშვიდი წელი,—მთელი საბჭოთა ხალხი, ჩვენს პლანეტაზე მცხოვრები ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი ზეიმით აღნიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდაათ წლისთავს.

ქვირფასო ბავშვებო!—გზა რომელსაც თქვენ ადგახართ, ოქტომბრის დიადი მზითაა განათებული. იყავით ამ მზის ქვეშ ლაღნი და ბედნიერნი. ახარეთ და ასახელეთ სამშობლო ჩინებული სწავლითა და მუყაითი შრომით, შეიყვარეთ და შეისწავლეთ ჩვენი სახელოვანი ისტორია. გონივრულად გამოიყენეთ ყოველი დღე და საათი რათა გახდეთ სრულყოფილი საბჭოთა მოქალაქეები, კომუნიზმის მშენებელი თაობის ღირსეული მემკვიდრენი!

ჟურნალი „პიონერი“, ამ დიდ გზაზე მარად თქვენი მეგზური და გულითადი მეგობარი, გულწრფელად გილოცავთ ბედნიერებისა და სიხარულის ახალ წელს!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმისა

**ჟურნალ „პიონერის“ საქართველოს სსრ უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით
დაჯილდოების შესახებ**

**დაარსების** ორმოც წელთან დაკავშირებით და მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, ჟურნალი „პიონერი“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე**

თბილისი, 1966 წლის 13 დეკემბერი.

10.379

**პიონერი**
1 · იანვარი · 1967

# იდუმალი ორეული

რევაზ კახიძე
თამაზ კიკნაძე

მხატვარი დიმიტრი ხარატიშვილი.

## მშვიდობით, ნუგზარ!

აჩქარება სახიფათო იყო და მეც დინჯად ჩავდიოდი თოკის კიბეზე. ფარნის შუქზე კედლები შავად ლაპლაპებდნენ, — ხან მზირდებოდნენ, სიბნელეში იკარგებოდნენ, ხან კი ისე მიახლოვდებოდნენ, თითქოს ჩემი გასრესა სურდათ.

ჩვენს მიერ აღმოჩენილ უფსკრულთაგან ეს ყველაზე სახიფათოდ მეჩვენებოდა. ჩემზე ადრე ჩასულმა ნუგზარმა ტელეფონით მაცნობა: ფრთხილად იყავ, კედლები ძალზე გამოფიტულია და შეიძლება ლოდებს დაიწყოსო.

თოკის კიბე ვეება ქიაყელასავით იქნიქებოდა, იგრიხებოდა, კედლებს ეხლებოდა და დიურალუმინის საფეხურები ქსილოფონის ხმას გამოსცემდნენ. კარსტული შახტის თაღები ამ ხმებს უფრო აძლიერებდნენ და უჩვეულოს ხდიდნენ, გეგონებოდა — ზღაპრული სირინოზები ჯადოსნური სიმღერით ცდუნებოდნენ ადამიანის შეჭრას საუკუნოვანი სიჩუმით გათანგული მხეცების სამეფოში. თითქოს სურდათ გაებრუბინათ დაუპატიჟებელი სტუმარი, მიგძინებინათ მისი სიფრთხილე და დაეღუპათ.

მოულოდნელად ლოდი მოწყდა კალციტის ქერქით დაფარულ კედელს, თავთან ჩამიქროლა, მეტეორივით გაქანა სიღრმისკენ და თანამიმდევრობით ლამქარიც თან გაიყოლა.

ძარღვებში სისხლი გამეყინა, როცა ამ საშინელ გრიალში ნუგზარის ყვირილი ამომესმა. გაქვავებული და ყური მიგდებდი. ლოდების წვიმა თანდათან მიწყდა და ქვესკნელში ჩაიკარგა.

— ნუგზააარ!...

მხოლოდ მარადიული სიბნელით შებოჭილი მიწისქვეშა დარბაზები გამომეპასუხნენ.

— ნუგზააარ!...

ისევ დუმილი.

ჩასვლა განვაგრძე. კიბეზე აღარ თავდებოდა კიბე, — რაც უფრო ღრმად ჩავდიოდი, მით უფრო იქნიქებოდა და იგრიხებოდა.

როცა ძირს ჩავაღწიე, საზარელი სურათი დავინახე: ჩემი ფარნის სინათლემ გაანათა წელამდე ლოდების გროვაში ჩაჭედილი, გონდაკარგული ნუგზარი. გამალებით დავიწყე მუშაობა. ლოდს ლოდზე ვაცლიდი. ძლივს დავძარი მძიმე კაჭარი. სახეზე ცივმა ოფლმა დამასხა: ორმოცდაათი მეტრის სიმაღლიდან ჩამოქანებული ლოდების საშინელ ძალას უწყალოდ დაეჩეჩქვა ჩემი მეგობრის ორივე ფეხი.

ტელეფონით ვაცნობე ზევით მყოფ ამხანაგებს მარეხის ამბავი.

დიდი წვალების შემდეგ, ჩვენი ექსპედიციის ხელმძღვანელი ცოცხალმკვდარი ამოვიყვანეთ მიწის ზედაპირზე.

კარსტული მღვიმეებისა და უფსკრულების შეუცნობ ლაბირინთებში, ხიფათი სპელეოლოგთა განუყრელი თანამგზავრია. ამ ამბავს დიდი ხანია შეჩვეული ვიყავი, მაგრამ ნუგზარის დასახიჩრებამ თავზარი დამცა. ის იყო ჩვენი სული და გული, ყოველი საინტერესო ექსპედიციის წამომწყები და ხელმძღვანელი, გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსვლის უბადლო ოსტატი, ახალი იდეების დაუშრეტელი წყარო. მან შთაგვაგონა მღვიმეთა, ხელშეუხებელი მიწისქვეშა დარბაზების სიყვარული. ჩვენში სპელეოლოგიის ძლიერი სკოლაც მან ჩამოაყალიბა.



ნუგზარი ჯერ კიდევ ავტომატიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი იყო, როცა მიწისქვეშეთში პირველად ჩავიდა. მას შემდეგ ამ საქმიანობამ ისე გაიტაცა, რომ უმისოდ არცერთი მნიშვნელოვანი სპელეოლოგიური ექსპედიცია არ ეწყობოდა. ნუგზარის მიერ გამოგონებული ჯალამბარები და სხვადასხვა კონსტრუქციული ხელსაწყოები აუცილებელ და შეუცვლელ საჭურველად დაგვქონდა ჩვენც და სხვა ექსპედიციებსაც.

სახლში ნუგზარს საკუთარი ხელით დამზადებული იმდენი ავტომატური მექანიზმები ჰქონდა, რომ გამოუცდელი კაცი მასთან სტუმრობის დროს ხშირად სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ხოლმე, თუ კი მოისურვებდა მისი ოთახების დათვალიერებას. არცერთ კარსა და უჯრას არ ჰქონდა სახელური, — ადამიანის მიახლოებისას ყველაფერი თავისით იღებოდა ფოტოელემენტების საშუალებით. მახსოვს, პირველად რომ გახმაურდა თავისი ბინის „გენერალური ავტომატიზაცია“, ხშირად ცხვირდაცქვეთილი ვბრუნდებოდი მისი სახლიდან. ვერ იქნა და ვერ მივიჩვიე წიგნების კარადაში შეხედვა. როგორც კი მივუახლოვდებოდი, კარადის კარი უეცრად იღებოდა და ცხვირში მეხლებოდა. ნუგზარი ამაზე გულიანად ხარხარებდა. ასეთმა „ტკბის სწავლებამ“ რამდენიმე კვირას გასტანა, ვიდრე არ გამომიმუშავდა სათანადო სიფრთხილე.

ამ უცნაურ მანქანათა სამყაროში ყველაზე მეტად ავტომატური ტახტი მომწონდა. იგი მრავალი, მოძრავი სახსრით ერთმანეთთან დაკავშირებული ნაწილებისაგან შედგებოდა. სახსრებს ელექტროძრავა ამოძრავებდა. ტახტს მუდმივი ზედაპირი არ გააჩნდა და ისეთ ფორმას იღებდა, როგორსაც მასზე წამოწოლილი ადამიანის სხეული მოითხოვდა. ყველაფერი ისე იყო ნავარაუდევი, რომ წამოწოლილ კაცს სრული მოსვენება ეგრძნო და საკუთარი სხეულის სიმძიმეს აღარ შეეწუხებინა. მე მას „ზარმაცის სარეცელი“ ვეწოდე, რადგან პირველი წამოწოლისთანავე უმოქმედობის გადაულახავმა სურვილმა შემიპყრო და უნებლიედ წარმოვთქვი:

—ეს მართლაც გენიალური რამ გამოიგონე, ნუგზარ — რაც მთავარია, დიდი მომავლის მქონეა: როდესაც კაცობრიობა მიაღწევს ავტომატიზაციის უმაღლეს წერტილს, ყველაფერს მანქანები გააკეთებენ და ადამიანს ძილისა და ჭამის გარდა სხვა საზრუნავი აღარ ექნება. —ამ გამოგონებას მაშინ სათანადოდ დაგიფასებენ და ბრინჯაოს ძეგლსაც დაგიდგამენ.

— შენ კვლავ ძველებურად ხუმრობ, —შემაწყვეტინა ნუგზარმა, — მე კი მაგ ტახტის საშუალებით ჩემი დღე-ღამე მთელი სამი საათით გავახანგრძლივე.

— როგორ?

— უბრალოდ: ახლა შვიდი საათის ნაცვლად ოთხი საათი მძინავს და დილით თავს ისევე კარგად ვგრძნობ, როგორც შვიდსაათიანი ძილის მერე.

იმ უბედური შემთხვევის შემდეგ, როდესაც ორივე ფეხი დაკარგა, ნუგზარი ძალაუნებურად ჩამოგვშორდა, გულჩათხრობილი გახდა.

მე არ ვივიწყებდი ძველ მეგობარს — ხშირად ვიყავი მასთან. ნუგზარს განსაკუთრებით აინტერესებდა ჩემი სპელეოლოგიური საქმიანობა და, როგორც კი ექსპედიციიდან დავბრუნდებოდი, პირველ რიგში მას უნდა ვწვეოდი. ნუგზარი ძალიან გამოიცვალა, დიდი ლაპარაკი დაიწყო, თითქოს გონებრივად სიმწიფის ასაკში შევიდა. მეტ ხანს რაღაც მათემატიკური წიგნების კითხვაში ატარებდა „ზარმაცის სარეცელზე“. მუსაიფის დროს აღარ ჰქონდა ძველებურად მხიარული კილო. ვიდრე რამეს იტყოდა, ღრმად ჩაფიქრდებოდა, მერე კი ისეთ რთულ მოსაზრებებს გამოთქვამდა, რომ ჩემნაირი კაცი ნახევარსაც ვერ გაიგებდა. ლაპარაკში ხშირად ხმარობდა ჩემთვის გაუგებარ სიტყვებს: „ინფორმაციის ნაკადები“, „ალბათობის ფუნქციის დისპერსია“, „კიბერნეტიკულ-ბიოლოგიური, დისკრეტულ-ანალოგიური სისტემა“...

ერთხელ დედამისმა შემომჩივლა, — სარდაფში აღარავის უშვებს, მთელ დღეებს იქ ატარებს და ხშირად ღამითაც არ ამოდისო. ნუგზარს სარდაფში, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან, ლაბორატორია ჰქონდა მოწყობილი და ბევრჯერ მიყურებია, როგორ აწყობდა, სარჩილავით ხელში, თავისი ჯადოსნური ტახტის სქემას. ახლა იმ სარდაფს დიდი კლიტე ედო და ნუგზარი გასაღებს არავის არ აძლევდა ხოლმე.

მე განვაგრძობდი მიწისქვეშეთის ძიებას. ბევრ საინტერესო ექსპედიციაში მივიღე მონაწილეობა. დავბრუნდებოდი თუ არა, როგორც წესი, ნუგზართან მივდიოდი. უნდა გენახათ, როგორი გატაცებით მისმენდა; მისი თვალები ძველებური ცეცხლით ანთებოდა და კითხვებს სეტყვასავით მაყრიდა. ბოლო ხანებში შევამჩნიე, რომ კითხვების უმრავლესობას თვითონვე პასუხობდა, და თანაც ისე, თითქოს ჩემთან ერთად ყოფილიყოს ექსპე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიციებში. ამ წუთებში ის ისევ ძველი ნუგზარი იყო.

ამ ყოფაში შეუმჩნევლად გაირბინა რამდენიმე წელმა... ერთ ზაფხულს, როცა ჩემს ჯგუფთან ერთად მორიგ სპელეოლოგიურ ექსპედიციაში გავემგზავრე, იმდენად უჩვეულო და გასაოცარი თავგადასავალი გადამხდა, რომ აუცილებლად უნდა გიამბოთ...

## უცნაური მგზავრი

კუთხეში სასაცილოდ თითჯდარი ყაბალახიანი კაცი თვალს არ გვაშორებდა. მისდა სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ერთი საყვედურიც არ დასცდენია, როცა უამრავი ბარგი-ბარხანით კუპეში შევიჭერით. ბოდიში მოვუხადეთ, მის საწოლქვეშაც ორი მოზრდილი ზურგჩანთა შევტენეთ. მალე პატარა კუპე ისე გაიჭედა ექსპედიციის საჭურვლით, რომ ნემსიც აღარსად ჩავარდებოდა.

— თქვენ ალბათ გეოლოგები ხართ, არა? — ვეღარ გაუძლო ცნობისმოყვარეობას ყაბალახიანმა, თან მატარებლის დაძვრისთანავე მოხერხებულად მოკალათდა და ისეთი იერი მიიღო, მუსაიფის მოყვარულმა მგზავრებმა რომ იციან. ხომ გინახავთ, ორი სიტყვით რომ მოამთავრებენ ხოლმე გაცნობას, შემდეგ კი სახელდახელოდ, უბიდან ბანქოს ქაღალდს ამოაძვრენენ და მთელი ღამე, თამბაქოს სქელ ბუღში გახვეულები, თამაშში ატარებენ.

„იწყება“, — გავიფიქრე და განგებ წავუყრუე, თან დასაწოლად ვემზადებოდი. ბრაზი მომდიოდა სადგურის მოლარეზე—ოთხადგილიანი კუპეების ბილეთები ვერ მოგვიხერხა და სხვადასხვა ვაგონში დაგვფანტა. მხოლოდ სამნი მოვხვდით ერთად და ბარგის მეტი ნაწილიც ჩვენს კუპეს ერგო.

— თქვენ ნამდვილად გეოლოგები იქნებით! — ახლა უკვე ხმამაღლა გაიმეორა ყაბალახიანმა და პირდაღებული შემომაჩერდა. ჩემს ერთ სიტყვას ისე ელოდა, როგორც შემართული თოფის ჩახმახი მონადირის თითს, რომ ერთბაშად ეფეთქა და სიტყვების კორიანტელი საფანტივით შემოეყარა.

— არა, ბატონო, — ვუპასუხე მთქნარებით და ფანჯრიდან ბინდმორეულ გარემოს გავხედე. მახლობელ საგანთა ჩრდილები თავბრუდამხვევი სიჩქარით გარბოდნენ უკან, ტელეგრაფის ბოძები კი თოკჩაბმული მთამსვლელებივით მიჰყვებოდნენ ერთმანეთს, ხოლო ყველაფერი ერთად: მთები, მინდორი, ხეები, — ვეება წისქვილის დოლაბივით ბრუნავდა.

— აბა, მთამსვლელები იქნებით! — გამომარკვია ყაბალახიანის ხმამ. — ჩემი ცოლისძმის მეგობარიც მთამსვლელი იყო, მარა ამ ხუთიოდე წლის წინ დაიღუპა. მერედა, რა ვაჟკაცი, მტერსაც კი მოეწონებოდა... მე თუ მკითხავთ, იმ ტყე-ღრეში და კლდეებზე ხეტიალ-ძრომიალს ჩემი ვენახის მოვლა და ჭურის თავთან მუსაიფი მირჩევნია.

— ჩვენ სპელეოლოგები ვართ, ბიძაჩემო, სპელეოლოგები, — გადმოსძახა ზემოდან დათიკომ და დასაძინებლად მოემზადა.

— რაო, ბიძიკო, ვინ ვართო? — ყაბალახიანმა ყურზე ხელი მიიდო და პასუხის მოლოდინში გაირინდა.

— სპე-ლეო-ლო-გები, — ვუთხარი დამარცვლით.

ყაბალახიანის თვალებში ნაპერწკლეპმა იელვა, ცქმუტვა დაიწყო, თითქოს ისეთი რამ უნდა გაენდო, რომ თმები ყალყზე დაგვიდგებოდა. ჩემკენ გადმოიხარა და ხმადაბლა მითხრა:

— აბა, ონისიმე ფოლადაური გაგეგონებათ?!

— არა, არ გამიგონია.

— თქვენი ხელობის კაცია. ასე მითხრა, სპელეოლოგი ვარო.

— არ გამიგონია, ალბათ შეგეშალათ, იქნებ პალეონტოლოგია.

— არა, ჩემო ბიძიკო, იმდენი რამე მიამბო სპელეოლოგიაზე, რომ ლექციის წაკითხვაც კი შემიძლია. თქვენ ის ხალხი არა ხართ მიწის ქვეშ, ბნელ მღვიმეებსა და უფსკრულებში, რომ ჩადიან? სტალაქტიტები, სტალაგმიტები... — სეტყვასავით მოგვაყარა.

გამიკვირდა და ზემოდან გადმოყუდებულ დათიკოს ავხედე. მან ვეღარ მოითმინა და გადმოსძახა:

— ოჰო, ეგეები საიდანღა იცით?

— ეს ყველაფერი, შენ ხარ ჩემი ბატონი, სწორედ ონისიმე ფოლადაურმა მიამბო, — გაგვიღიმა სალაპარაკო თემის გაჩენით გახარებულმა ყაბალხიანმა და განაგრძო: — როგორ, არ იცნობთ? აი, სწორედ ამ მატარებლით ვიმგზავრეთ ამ ორიოდე თვის წინათ. კუპეში ორნი ვიყავით. ონისიმეს თურმე ოთხი ბილეთი ეყიდა, მარტოობა ყვარებია, მაგრამ მე ხაშურში ამოვედი და გამყოლმა ჩემი ხურჯინიანად მასთან შემაგდო.

— მერე, მერე? — გამოფხიზლდა დათიკო.

— მერე, კაი თქვენ დაგემართოთ, ონისიმე გაუნძრევლად იწვა აგერ აქ, ჩემს პირდაპირ, ულოგინოდ და ტანზე გაუხდელად. ვიფიქრე, ძინავს-მეთქი. ცოტა შეზარხოშებული გახლდით. ხურჯინში მოხარშული ქათამი, ხაჭაპური და ორი ბოთლი ცოლიკაური მეგულებ... და და რა დამაძინებდა. ყველაფერი ამოვალაგე, მაგრამ ლუკმას მარტო როგორ გადავაცილებდი ყელს ქართველი კაცი. გადავხედე მეზობელს, — თითქოს არც კი სუნთქავდა. ჩავახველე, მივუდექი აქედან, იქიდან... ნასვამი როცა ვარ, ცოტა ჯიუტი ხასიათი მაქვს, კაცს თუ შევუჩნდი, არ მოვეშვები... დავეხმაურე, დავუძახე, — მეზობელო, დამეწვიე-მეთქი. ჭიქა ღვინით ავავსე, მხარზე ხელი მოვკიდე და ცოტაზე შევანჯღრიე. უცნაური ზუზუნით მიპასუხა, ნელა გადმობრუნდა ჩემსკენ და ჭიქა ხელში გამიშეშდა: თქვენს მტერს აჩვენა იმისთანა საფრთხობელა — არც თვალები მოუჩანდა, არც ცხვირ-პირი. სულ თეთრი ბანდით ჰქონდა შეხვეული პირი-სახე. ხელთათმანები ეცვა, თუმცა არ ციოდა. სახე ვერ დავუნახე და ვერ მივხვდი, ეწყინა თუ არა ჩემი სითამამე. — ძმობილო, პატივი დამდე, დამეწვიე, ღვინით ყელი გავისველოთ და ზედ ჩემრიელი ხაჭაპურიც დავაყოლოთ-მეთქი — გავუმეორე, ჭიქა გავუწოდე და ვიფიქრე: აბა, როგორ დალევს ღვინოს პირახვეული კაცი. ალბათ ხანძარში მოჰყვა და სახე დაეწვა-მეთქი. ღვინის სუნმა ერთობ შეაშფოთა. კარგა ხანს უხერხულად იშმუშნებოდა, მერე უცნაური, როხროხა ხმით მითხრა: — არ შეიძლება, საავადმყოფოდან ახლახან გამომწერესო. რაღა გაეწყობოდა, ვადღეგრძელე მეზობელი, მალე გამოჯამრთელება ვუსურვე და მარტომ გადავკარი. ერთ ჭიქას მეორე და მესამეც მივაყოლე. ონისიმემ ჭამაზეც უარი მითხრა, ლაპარაკში კი ხალისით ამყვა. დიდხანს ვიმუსაიფეთ. მოვყევით ამ მთის, იმ ბარის... მისი ხმა მძიმე მოსასმენი იყო, მაგრამ ერთობ განსწავლული და ბრძენი კაცი გამოდგა. სულ თავის ფეხით ჰქონდა დავლილი და გამოკვლეული, რაც ჩვენში მღვიმეები და გამოქვაბულებია. იმისთანა საკვირველებანი მიამბო, სხვისგან რომ გამეგო, ალბათ არ დავიჯერებდი. იმ მიწისქვეშა ბნელეთში ჭერმაღალი დარბაზები

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყოფილა. შუქს რომ აანთებ, თურმე თვალ-მარგალიტით მოოჭვილ სამეფო სასახლეებზე ლამაზია. მომაკვდავი რომ ჩაიყვანო, ხელად მორჩება, იმისთანა ჯადოსნური თვისება ჰქონია იქაურ ჰაერს. ეჰ, — ამოიოხრა ყაბალახიანმა. — ძალიან დავმეგობრდით, მარა რა გამოვიდა. ღვინომოკიდებულს დამძინებია და, დილით რომ გამოვიღვიძე, ონისიმე ველარსად ვნახე, რომელიღაც სადგურზე ჩასულიყო. ძნელია ამისთანა ტკბილმოუბარ კაცთან დაშორება.

ამ ნაამბობმა დათიკო და მე დაგვაფიქრა. თავს ძალას ვატანდით, გვინდოდა გაგვეხსენებია — ვინ იქნებოდა, მაგრამ უშედეგოდ.

## მ თ ე ბ შ ი

კარვის კალთა გადავწიე და გარეთ გავიხედე. არაფერი ჩანდა, მხოლოდ ნისლი — ჭუჭყიანი, ნაცრისფერი, გაუმჭირვალე ნისლი!... იგი ნაბდით ფლოქვებაკრული, ნაპარავი ცხენივით უჩუმრად მოაბოტებდა, თითქოს ფრთხილობს — მძინარე მთები და ხეობები არ გამოაღვიძოსო. ტაატით ამომავალი მზე ქვაგანძის ქედს ასცდა და გადმოგვანათა. ნისლმა ქვევით ჩაიწია, ხეობაში ჩავიდა, იქ აშოლტილ ფიჭვებს და დაგრეხილ არყებს გამოედო და შედგა...

საძილე ტომრებიდან ამოვძვერით და სწრაფად ჩავიცვით. სიცივისაგან ვძაგძაგებდით. ჯუმბერმა და დათიკომ ცეცხლი გააჩაღეს და საუზმის მზადებას შეუდგნენ. მე ხევში ჩავედი წყლის ამოსატანად. სახეზე ყინულივით ცივი წყალი შევისხი, აყოლილი ძილი გავიფრთხე.

ლაშა საძილე ტომრიანად გამოეთრია ნოდარს კარვიდან და ამაოდ ცდილობდა მის გაღვიძებას. ნებივრობის მოყვარულ ლაშას ეძნელებოდა სიცივეში თბილი ლოგინის დატოვება, მაგრამ როგორც კი თვალი მოჰკრა ცივი წყლით სავსე ჩაიდანს, რომლითაც მე ვუახლოვდებოდი, ტომრიდან ფაცი-ფუცით ამოძვრა.

იქვე ახლოს ზაზა და ლევანი თოკებს ამოწმებდნენ და ახვევდნენ. მალე ექსპედიციის მთელი შემადგენლობა სახელდახელოდ გაშლილ სუფრას ვუსხედით. მერე კარვები ავშალეთ, ზურგჩანთები წამოვიკიდეთ და გზას დავადექით.

სიარული გვიჭირდა, რადგან ციცაბო აღმართზე ავდიოდით. შვეული კლდეების გადასალახავად პალოებს ვარჭობდით და თოკს ვიყენებდით. მთელი დღე გზაში ვიყავით და მოვიქანცეთ. უკვე შებინდდა, როცა მთა გადავიარეთ და ტყეში ჩავედით. ბილიკი გაყვითლებული ფოთლების ხალიჩაზე მიიპარებოდა. ბინდ-ბუნდიდან გამოჩრილი ტოტები გზას გვიღობავდნენ, ზურგჩანთებზე და ტანსაცმელზე გვებღაუჭებოდნენ. მალე მბჟუტავი სინათლე გამოჩნდა და გახარებულებმა იქით გავწიეთ.

ცოტა ხნის შემდეგ ტყისმჭრელების სახყოფელში მოვხვდით. მხიარულად შემოვუსხედით მოგიზგიზე ღუმელს, ზედ ჩაიდანი შემოვასკუპეთ და ზურგჩანთებიდან სანოვაგე ამოვალაგეთ.

ტყისმჭრელებმა, ჩვენი ექსპედიციის მიზანი რომ გაიგეს, გვირჩიეს უკან დავბრუნებულიყავით, — აქაურ მღვიმეებსა და უფსკრულებში რაღაც ავი სული თუ უცნაური ცხოველი ბინადრობსო. ერთ მთვარიან ღამით ორ ტყისმჭრელს საცხოვრებლის მახლობლად საკუთარი თვალით ენახათ დაკუთხულთავიანი, ცალრქიანი ურჩხული, რომელიც ორ ფეხზე მდგარა. ძაღლი გააფთრებით სცემია ფეხებში, მაგრამ უმალვე წკავწკავით უკან გამოქცეულა. ძაღლს რამდენიმე კბილი ჩამტვრეული აღმოაჩნდა, იმ ურჩხულს კი მორში ჩარჭობილი ნაჯახი ამოეგლიჯა და ტყეში გაუჩინარებულიყო. დილით უცნაური ნაკვალევი ენახათ, რომელიც არცერთი ნადირის კვალს არ ჰგავდა. ერთი კვირის შემდეგ, ისევ ღამით, კიდევ სწვევია ტყისმჭრელთა სადგომს. მსხვილი თოკი და ძელაყინი წაუღია. ერთ ტყისმჭრელს ფანჯრიდან თოფი უსვრია მისთვის, მაგრამ ვერაფერი დაუკლია. დილით ორი გაბრტყელებული ქაკანი უპოვიათ მხოლოდ.

ამ ამბავმა დაგვაინტერესა, მაგრამ განზრახვაზე ხელი არ აგვიღია. — მაგ ავსულს ხელფეხშეკრულს ჩამოგიყვანთ, — გავეხუმრეთ მასპინძლებს და გამოვეთხოვეთ.

სამიოდე საათის სიარულის შემდეგ უფსკრულების რაიონს მივადექით. თოვლი არ ჩანდა, მაგრამ ყველაფერი გადათეთრებული იყო: მთები — თეთრი კირქვის... ხევები — კირქვაში ჩაჭრილი...

ბანაკისათვის მოხერხებული ადგილი შევარჩიეთ და კარვები გავშალეთ. მერე ჯგუფად დავიყავით და სხვადასხვა მიმართულებით წავედით. თვითონ თუ არ გამოსცადა კაცმა, ისე ძნელია წარმოიდგინო, რაოდენ მძიმედ მოქმედებს აქ იმედის გაცრუება. ხშირად ვხვდებოდით მღვიმეებს, ვიწროპირიან შახტებს, მაგრამ მათი უმრავლესობა ორმოცდაათი ან ასი მეტრის სიღრმეზე იქოლებოდა და ჩვენ ამაოდ ვეძებდით სიღრმისაკენ მიმავალ ხვრელებს.

ერთ დღეს დასაზვერად წასული დათიკოს ჯგუფი გახარებული დაბრუნდა. შორიდანვე დაგვიძახეს:

— მივაგენით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ახალი ლექსები

## ჯანსულ ჩარკვიანი



## თეთრი სიმღერა

რა იისფერი თმები აქვს ზამთარს,
და რა მსუბუქი ფრთები აქვს ზამთარს...
თეთრი და სათნო,
    თეთრი და სათნო,
ზამთრის სიმღერა თოვლისფრად გვათოვს;
ეს გაუმარჯოს თამარს და დათოს,
მამუკას, ზაზას, ხათუნას, თეას,
თეთრი და თეთრი სიმღერის თვეა,
თეთრი სიმღერა თოვლისფრად გვათოვს...
ნეტა სულ ასე ლამაზად თოვდეს,
მზე იყოს, მაინც თოვდეს და თოვდეს,
ზამთარი თოვლის სიმღერას ქსოვდეს,
და სულში თეთრი სიმღერა ქროდეს.

* * *

თეთრი და სათნო,
    თეთრი და სათნო,
ზამთრის სიმღერა თოვლისფრად გვათოვს...

## ფიფქის სიყვარული

ყოველღამე და ცისმარე,
ცაო, შენ ღმერთო ფიქრისა,
შენ დამასიზმრე სიზმარი
ერთი ფიორი ფიფქისა.

მთელი დღე მასთან მატარე,
მასუნთქე ნისლი მთებისა,
სიმღერად გამომატანე
სურნელი მისი თმებისა.

ზედ წამწამებზე დამადნე
მისი სიმღერის „დიელო“.
იმ ფიფქის ფიქრი გამანდე
შენ, ჩემი ფიქრის იელო.

ყოველღამე და ცისმარე,
ცაო, შენ ღმერთო ფიქრისა,
შენ დამასიზმრე სიზმარი
ერთი ფიორი ფიფქისა.



მეორე დღეს ექსპედიციის მთელი შემადგენლობა ახალ აღმოჩენილი უფსკრულის პირას იყო და საიერიშოდ ემზადებოდა. ქედის კალთაზე უფსკრულს შავად დაეღო ხახა. შიგ ჩაგდებული ლოდი დიდხანს მირახრახებდა; მაშასადამე უფსკრული ღრმა იყო.

ტყიდან მოტანილი ხის მორი უფსკრულის თავზე გავდეთ და დავამაგრეთ. ჭოჭონაქში კაპრონის თოკი გავატარეთ და თოკის კიბეც დავამაგრეთ. პირველი — ნოდარი უნდა ჩასულიყო. მას წელზე დამცველი თოკი გამოვაბით და კიბეს ჩაჰყვა. რიგ-რიგობით მიყვნენ დათიკო, ლევანი და ჯუმბერი. როცა ჯერი ჩემზე მოდგა, მიწისქვეშეთიდან ტელეფონით გვაცნობეს: გზის გასაგრძელებლად ჩაგდებული თოკის გრაგნილი შახტის ლავგარდანზე გაჩხირულიყო.

ჩაშვება დავიწყე. ფარნის შუქი ხმალივით კვეთდა მრუმე წყვდიადს. კირქვის კედლები ხან შორს მიდიოდნენ და სიბნელეში იკარგებოდნენ (აქ უფსკრული ფართოვდებოდა), ხან კი მიახლოვდებოდნენ.

სინათლის ზოლმა პატარა ლავგარდანს ჩაურბინა, რომელზეც თოკის გრაგნილი ეგდო. სასტვენს ჩავბერე და შევჩერდი. ერთი დასტვენა გაჩერებას ნიშნავდა, ორი — ჩაშვებას, სამი — ამოსვლას. კიბეს თავი დავანებე და თოკზე დავეკიდე. რამდენჯერმე გავქანდი და, როგორც იქნა, მივწვდი თოკის გრაგნილს, ძირს ჩავაგდე და მეც ჩავედი.

ასი მეტრის სიღრმეზე დათიკო დამხვდა. დანარჩენები ვიწრო ხვრელთან იდგნენ და გასაძრომად ემზადებოდნენ. აქ კი ძალიან გაგვიძნელდა მოძრაობა. უამრავი წვეტიანი შვერილი, ბასრი სტალაქტიტები ტანსაცმელზე გვეჭიდებოდნენ, არ გვიშვებდნენ, თითქოს არ სურდათ ფარდა აეხადა მიწისქვეშეთის საიდუმლოებისათვის. ჩვენ ხომ ადამიანთაგან პირველები ვიყავით, რომლებმაც ფეხი დავადგით ამ უფსკრულის კედლებს და მრავალსაუკუნოვანი მყუდროება დავურღვიეთ. ყველაზე დიდი ხიფათი, რაც შეიძლება სპელეოლოგს წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბედნიერება

მზე, მზე
    წითელი,
დათოვლილ მთებზე,
სახურავებზე,
    კედლებზე,
ზღვებზე,
    დადის და გვეძებს,
დადის და გვეძებს
და გვიბრაგუნებს
ოქროებს მკერდზე;

ტვინში გვიმზერს და
თვალებში გვიმზერს,
ვერ დაემალოს ვერავინ დიდ მზეს...
მზე დადის პურში,
მზე დადის თოვლში,
მზე დიდებული გადადის ხიდზე,
მზე, მზე
    წითელი,
ტყეებზე, მთებზე...
ვერ დაემალოს ვერავინ დიდ მზეს.

# იისფერ თოვლში

მოაქვს სიმღერა
    იისფერ ყინვას,
იისფერ ყინვას
    მოაქვს სიმღერა,
ეს—თოვლში
    შენი თვალები ბრწყინავს
და ხასიათი შენი მიღელავს...
და იმსხვრევიან
    თეთრი დროშები
და ლაწალუწი
    გაუდის დროშებს,
თეთრმა სიზმრებმა
    იცის მოჩვევა,
თეთრმა სიზმრებმა,
    იისფერ თოვლში...

მხატვარი დიმიტრი ზარაფიშვილი.



გადაელობოს, ეს ხვრელში გაჭედვაა, როცა ვერც წინ მიდიხარ და ვერც უკან, მიშველებაც შეუძლებელია ხვრელის სივიწროვის გამო.

როგორც იქნა, მშვიდობიანად დავძლიეთ ხვრელი, რომელსაც „ჯადოქრის ქანგები“ ვუწოდეთ. ქანცმილეულები და გატალახიანებულები უფსკრულის ძირას შევგროვდით. დაღლილ სახეებზე მაინც კმაყოფილების ღიმილი გვითამაშებდა. ზევიდან ჩამოტანილი სანოვაგე ძალზე გემრიელი გვეჩვენა. მშრალი სპირტის აბები ავანთეთ და ხელები გავითბეთ, რადგან საკმაოდ ციოდა და სინესტე ძვალსა და რბილში ატანდა. ჩვენს თვალწინ გრანდიოზული მიწისქვეშა სამყარო იყო გადაშლილი. ფარნის შუქი სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების ტყეს ედებოდა და შორს ვერ აღწევდა. სტალაქტიტებს მარგალიტებივით ეკიდა წყლის წვეთები. ისინი კრისტალდებოდნენ, იატაკზე ეცემოდნენ და კალციუმით გაჯერებული წვეთებიდან გამოკრისტალებული კალციტი სტალაქტიტებსა და სტალაგმიტებს აჩენდა.

— ჰე — ჰეი! — გავძახე უჩინარ თალებს.

— ჰეიიი... — ყრუ გუგუნით გამომეპასუხა იდუმალი ბნელეთი.

ლაშამ ზევიდან ტელეფონით გვკითხა:

— როგორა ხართ, ბიჭებო!

— არა გვიშავს, საოცრად ლამაზი დარბაზია, — გამოეპასუხა დათიკო.

— აქ უკვე დაღამდა, — გვამცნო ლაშამ.

— ძილი ნებისა! ჩვენც მალე დავიძინებთ, აქ ერთი და ორი დღის სამუშაო როდია. დიდხანს მოგვიწევს დარჩენა უმზეოდ.

მოუთმენლად ველოდი „გათენებას“. რა მოულოდნელობით გაგვიმასპინძლდება ეს უფსკრული? რა საიდუმლოებებს მალავს იგი თავის წიაღში? ამ ფიქრებში ჩამეძინა. მოუსვენრად გვეძინა: სადღაც მოწყვეტილილოდები რახრახით მიექანებოდნენ და ძილს გვიფრთხობდნენ. უფსკრულს არ ეძინა, მძლავრად სუნთქავდა...

დასასრული შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა




ატენის სკოლა-ინტერნატის შენობა.

ნორა ნორაკიძე
ფოტო ვ. ბენბიურისა

# კუნძული ტანაზე

აატარა კუნძულს, რომლის მკვიდრთა ცხოვრებაზეც უნდა . მოგითხროთ, ვერცერთ გეოგრაფიულ რუკაზე ვერ იხილავთ რადგან იგი ზღვის ან ოკეანის წყლით კი არ არის შემოფარგლული, არამედ მდინარე ტანას ტალღები უვლიან გარს. ტანა გაზაფხულზეა წყალუხვი და ზათქიანი. შემოდგომა-ზამთარში კი გალეულია. მის კამკამა, გამჭვირვალე წყალში ყველა კენჭი ჩანს. პირველი შეხედვით პატარა გეგონებათ. თვალს ისიც ატყუებს, რომ ტანამ ოკრობოკრო „სიარული“ იცის. თავის ტოტს ხან იქით გადაისვრის ხან აქეთ. ამიტომაც მომრავლებია ხიდები.

მაღალი მთებით შემოზღუდული ხეობა მხრებგაუშლელი დარჩენილა. სახლები ფერდობებს შეფენია. ვიწრო ჭალაში, მიწის მცირე ნაგლეჯზეც, წყალს რომ გადარჩენია, ბოსტანი ან ვენახია გაშენებული. მდინარე ერთგან ორ ტოტად იყოფა. ასეა კარგა. მანძილზე. შუაში დიდი ჭალა — 4,5 ჰექტარი ფართობი — მოუმწყვდევია, სწორედ ამ ადგილს ეძახიან სოფელში „ტანას კუნძულს“. კუნძულზე ხუთი მრავალსართულიანი, ლამაზი ნაგებობაა ჩადგმული, რომლებშიც 339 ბავშვი ცხოვრობს. ეს გახლავთ გორის რაიონის სოფელ ატენის სკოლა-ინტერნატი. ეზო ხეივნებით, ქანდაკებებით, გაზონებითა და სკვერებითაა დამშვენებული. ყველაფერში შემოდგომის ბარაქა ჩანს, დიდთავა კომბოსტოსა და სხვადასხვა ბოსტნეულის ლამაზი კვლები, გვიანობამდე შემორჩენილან ნოყიერ მიწაზე, ახარებენ მნახველის თვალსა და გულს.

ვიდრე კუნძულის ბინადრებს პირადად გაგაცნობდეთ, მოდით გზადაგზა მათ საქმეებზე ვისაუბროთ. ექვსი წელია სკოლა-ინტერნატი არსებობს, პირველკლასელები წამოიზარდნენ — ახლა მეშვიდე კლასში არიან, ხოლო ადრინდელმა მეშვიდეკლასელებმა ორი წლის წინ სკოლა სასახელოდ დაამთავრეს. „ოცდარვა კურსდამთავრებულიდან ოცდაოთხი — უმაღლეს სასწავლებელში მოეწყო“, — ამაყად ამბობს სკოლის დირექტორი, პატივცემული აკაკი საგანელიძე, რომელსაც დიდ სიხარულს ჰგვრის თითოეული აღზრდილის წინსვლა, წარმატება.

სწორედ პირველმოსულების, ინ-

ტერნატში დაზრდილებისა და დავაჟკაცებულების მიერაა დამშვენებული თვალწარმტაცი ეზო. როგორც ყველა ახალმოსახლეს, მათაც პირმოტიტვლებული მინდორი დახვდათ მხოლოდ. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. მოასფალტებული ბილიკების გასწვრივ ჩაიყარა ვაზი — გაკეთდა გრძელი, ლამაზი ტალავერი, გამრავლდა ყვავილები, დაირგო უამრავი დეკორატიული მცენარე თუ ხეხილის ნერგი. მაგრამ საგულისხმო უფრო ის არის, რომ ყველა საქმეს რაიმე ლამაზი თაოსნობა ედო საფუძვლად. პიონერული რაზმების მიერ გაჩაღებულ შეჯიბრებაში მონაწილეობით, რაზმეულების ლენინური დათვალიერების მწყობრში ჩადგომით, წლების მანძილზე ინერგებოდა ის შრომითი ტრადიცია, რომელიც ატენელ ბავშვთა ცხოვრების უპირველესი დამახასიათებელი ნიშანთვისებაა.

სიახლეებზეც გიამბობენ: დიდი ზეიმით ჩაიარა შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებმა. ეზოში უკვდავი პოეტის ძეგლი აღმართეს, მის გარშემო ნორჩებმა ყვავილები დარგეს, მიწაზე დეკორატიულად „ამოქარგეს“ — წელი რვაასი. უფროსების დახმარებით, წყაროს ლამაზი კედელი ამოუშენეს, სამი ღარი გაუკეთეს და ახლა იქიდან ჩამოჩხრიალებს რუსთაველის სახელობის წყარო.

„სპორტული ქალაქი“, თავისი მოედნებითა და სარბენი ბილიკებით, სამხრეთით მდებარეობს, იმ მხარეს ეზო უფრო გაშლილი და ვრცელია.

პირველ კორპუსს გავცდით. მის კეთილმოწყობილ კაბინეტ-ლაბორატორიებში, ვრცელ საკლასო ოთახებში გაკვეთილები მიმდინარეობს. გავერიდეთ.

მეორე კორპუსში ზედა სართულზე საძინებელი და გასართობი ოთახებია, ქვევით პიონერთა ოთახი და ბიბლიოთეკაა, რომელთაც საერთო ვესტიბული აკავშირებთ.

პირველი რასაც ინტერნატში მოსული ერთი თვალის გადავლებითაც შეამჩნევს, არის სისუფთავე, წესრიგი, სიმყუდროვე. ჩვენს შთაბეჭდილებას ვუზიარებთ უფროს პიონერხელმძღვანელს ფიქრია საბაშვილს, რომელიც პიონერთა ოთახში დაგვხვდა.

—პიონერული რაზმეული და კომკავშირული ორგანიზაცია გულისყურით ეკიდებიან თვითმომსახურებას. ყველა უბანზე მორიგეობა და ოთახებს შორის გამართული შეჯიბრი ამყარებს ასეთ წესრიგს, — ამბობს ფიქრია. ვუწონებთ თაოსნობას და კვერს ვუკრავთ, რომ თვითმომსახურებას სანაქებო წესრიგის დამყარება შეუძლია დიდ ოჯახში — სკოლა-ინტერნატში.

ნორჩების მოლოდინში, ვათვალიერებთ პიონერთა ოთახს — პიონერულ ატრიბუტებს, რაზმების კუთხეებს, ლენინის ბიოგრაფიის ამსახველ სტენდს, პიონერთა კანონებს და, რაც მთავარია, თვალსაჩინო ადგილას გაკრულ რაზმეულების დათვალიერების გეგმა-ვალდებულებას... ყველაფერი ეს საზეიმო და რომანტიკულ ელფერს აძლევს ოთახს, სწორედ პიონერული რომანტიკა იზიდავს ნორჩებს და ყოველთვის ხალისით იკრიბებიან აქ. აქაც, ისევე როგორც სხვა ოთახებსა და დერეფნებში, ფანჯრების რაფებზე ჩამწკრივებულან ოთახის ყვავილები და გვიანი შემოდგომის მზეს ეფიცხებიან...



უფროსი პიონერხელმძღვანელი ფიქრია საბაშვილი რაზმეულის შეკრებაზე.

ზარის ხმა არ გაგვიგონია, მაგრამ ეზოში გამოფენილი ბავშვების ჟრიამულმა გვამცნო, რომ გაკვეთილები დამთავრდა.

— თქვენი თავკაცები — რაზმეულის საბჭოს წევრები გვინდა ვნახოთ, — ვეუბნებით უფროს პიონერხელმძღვანელს.

— ახლავე შემოირბენს რომელიმე, — თქვა ფიქრიამ. — დღის რეჟიმით, სადილობამდე საათნახევარი თავისუფალი დრო აქვთ. პიონერთა ოთახსაც მაშინ აკითხავენ. —თითქოს ამ სიტყვების დასტურად კარებში თავი შემოყო წითელყელსახვევიანმა გოგონამ. უცხოები რომ შენიშნა, დადრკა და უკან დაიხია.

— ნანული! გაიქეცი და, ჯაჭვური წესით, სასწრაფოდ შეკრიბე რაზმეულის საბჭოს წევრები, რგოლის ხელმძღვანელები, პიონერული აქტივი.

— ახლავე, ხელმძღვანელო! — თქვა ნანულიმ და უმალვე გაუჩინარდა. ათიოდე წუთში ყველანი ადგილზე იყვნენ.

ნანული გუზიტაშვილი პირველი რაზმის პირველი რგოლის ხელმძღვანელი ყოფილა. იგი ვეტერანად ითვლება — ინტერნატის დაარსების დღიდან აქ სწავლობს.

რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე — მეხუთე კლასელი ნათელა წიქარიძე პატარა, შავგვრემანი გოგონა აღმოჩნდა.

— ნათელა, როგორ ასრულებ ასეთ რთულ მოვალეობას, ხომ არ გიძნელდება? — ვეკითხები.

— ყოჩაღია, — სიტყვა შეაწიეს უფროსმა პიონერხელმძღვანელმა და რაზმეულის საბჭოს წევრებმა, გან-

# ოქროს საწმისი

ვ. გოეთე: მარტოოდენ ქვრეტა, აზროვნების გარეშე, ღლის ადამიანს. როცა არა მაქვს სულ ახალი და ახალი იდეები დასამუშავებლად, ასე მგონია — ავადა ვარ.

ფ. ენგელსი: ყველა იდეას გამოცდილება უდევს საფუძვლად, ისინი — სინამდვილის სწორ ან დამახინჯებულ ანარეკლს წარმოადგენენ.

მ. კალინინი: ჩვენ, ბოლშევიკები, თავმდაბალი, არადამპყრობელი ხალხი ვართ. მაგრამ მაინც ვფიქრობთ, ჩვენი იდეებით დავიპყროთ მსოფლიო...

ვ. ი. ლენინი: იდეა არის შემეცნება და მისწრაფება (სურვილი) (ადამიანისა).

კ. მარქსი: ...იდეები... რომლებიც ფლობენ ჩვენს აზრებს, რომლებსაც ექვემდებარება ჩვენი რწმენა და, რომლებსაც გონება ჩვენს სინდისს მიაჯაჭვავს ხოლმე, — ეს ისეთი ბორკილებია, საიდანაც თავს ვერ დააღწევ, თუ არ გაწირე გული; ეს ისეთი დემონებია, რომლებსაც ადამიანი მხოლოდ მაშინ სძლევს, თუ დაემორჩილება მათ.

მ. სალტიკოვ-შჩედრინი: დამოკიდებულება მასებისა გარკვეული იდეისადმი — აი, ერთადერთი საზომი, რომლითაც შეიძლება ვიმსჯელოთ მის სიცოცხლისუნარიანობაზე.

ა. ჩეხოვი: ვინც თავის ახლობელთა კეთილდღეობას ყველაზე მაღლა აყენებს, მან სრული უარი უნდა თქვას იდეურ ცხოვრებაზე.

ვ. ჰიუგო: შეიძლება დაშნა გადატეხო, იდეის მოსპობა კი შეუძლებელია.

საკუთრებით ბიჭებმა — თემურ გოგიჩაიშვილმა და თამაზ ჩეჩელაშვილმა.

— ყველაზე სამახსოვრო რა გაკეთდა თქვენს რაზმეულში უახლოეს ხანში? — კვლავ ვეკითხებით ნათელას.



მეხუთეკლასელი მზია ბედიაშვილი მორიგეობის დროს.

— რუსთაველის იუბილე კარგად ავღნიშნეთ. ეზოში ძეგლს ნახავდით, აგერ, სტენდიც — „ქართული პოეზიის ჩირაღდანი". კლასებში შეჯიბრი გამოცხადდა: „ვინ მეტი სტროფი იცის „ვეფხისტყაოსნიდან". მოეწყო გამოფენა, სადაც წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსანთან" დაკავშირებით გამოცემული მასალები, ბავშვთა ნამუშევრები, ილუსტრაციი. ამ გამოფენას მალე დერეფანში გადავიტანთ, ხოლო ამ ოთახში ლენინის მუზეუმის მოწყობა გვაქვს განზრახული, — ამბობს ნათელა.

ეთერ წიქარიძის, ნინო სარუხანოვას საუბარი რაზმეულში დამკვიდრებულ ტრადიციებს შეეხო. ლენინური დათვალიერების პირველ ორ წელს ბევრი რამ გაკეთდა. ტარდებოდა გონებამახვილთა ტურნირები, დასვენების ანუ, როგორც აქ უწოდებენ, — თვითშემოქმედების საღამოები, შეიქმნა საბრძოლო დიდების სტენდი და სხვა მრავალი. წელს ეს ტრადიციები, ცხადია, გაგრძელდება, მაგრამ გასაკეთებელიც ბევრია. ვალდებულებების მიხედვით თუ გადავხედავთ საქმეს — ცოტა შეფერხება შეინიშნება.

— „ლენინური ანდერძის კვალდაკვალის„ მიხედვით, შარშან მუზეუმის მოწყობა გვქონდა განზრახული. მაგრამ ჩვენი მუზეუმი ერთ სტენდს ვერ გასცდა. წელს ეს ვალდებულება უთუოდ უნდა დავგვირგვინდეს. ვერც მეორე საქმე განვახორციელეთ — სხვადასხვა ფერის ყელსახვევების კუთხე ისევ მოუწყობელი დაგვრჩა. ვმეგობრობთ ლენინგრადელ, თბილისელ, ვალელ მოსწავლეებთან. მაგრამ გამოდის, რომ მშვიდობის პიონერულ მარშში მხოლოდ მიმოწერითა ვა[illegible]თ ჩაბმული. როგორც ხედავთ, რაზმეულმა ტემპი შეანელა, — თვითკრიტიკით აღნიშნავენ პიონერები, გულწრფელად აღიარებენ რაც არ მოსწონთ. შესანიშნავი თვისებაა. ხარვეზის შემჩნევის უნარი ყველას როდი აქვს. საკუთარ ნაკლოვანებას თუ დაინახავ, ეს იმის საწინდარია, რომ ეცდები გამოასწორო იგი.

ჩვენ გასულ შემოდგომაზე ვეწვიეთ ატენელ პიონერებს და შევთანხმდით — მაქსიმალურად გამოეყენებინათ დარჩენილი დრო — შემდგომი წარმატებები მოეპოვებინათ სწავლაში, შრომაში, აღებული ვალდებულებების შესრულებაში. მას შემდეგ კავშირი არ გაგვიწყვეტია. კარგად ვიცოდით ერთმანეთის ამბავი. სულ ახლახანს გვაცნობეს, რომ პიონერები პირნათელნი არიან. რაზმეულმა თავისი ვალდებულებებიდან ბევრი რამ უკვე შეასრულა.

ტანას კუნძული სახულოვნად ხვდება საზეიმო თარიღებს: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დაუვიწყარი ზაფხული

სერგო
კლდიაშვილი



ვერავითარი წიგნი, თუნდაც დიდი ცოდნით და ტალანტით დაწერილი, ვერ მისცემს ადამიანს ისეთ ნათელ წარმოდგენას ამა თუ იმ ქვეყნის ან კუთხის ბუნებაზე და ხალხის ცხოვრებაზე, რამდენადაც საკუთარი თვალით დანახული და განცდილი. განსაკუთრებით სასარგებლოა ამ მხრივ ფეხით მოგზაურობა. ამასთანავე, ეს ხომ სპორტის საუცხოო სახეობაც არის.

ყველა ჩვენგანი უნდა გაეცნოს უპირველეს ყოვლისა თავის ქვეყანას, მის ბუნებას, სოფლებსა და ქალაქებს. საქართველო ტერიტორიულად დიდი არ არის და სამიოთხი ზაფხულის განმავლობაში თამამად შეიძლება მისი შემოვლა.

ჰო, ტერიტორიულად დიდი არ არის, მაგრამ რა მრავალფეროვანია ჩვენი ქვეყანა! თითოეულ მის კუთხეს ერთმანეთისაგან განსხვავებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი და განუმეორებელი სახე აქვს. ქართლი, კახეთი, ქიზიყი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, იმერეთი, სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სამეგრელო, გურია, მესხეთი, ჯავახეთი — ყველა ესენი ხომ საქართველოს განუყრელი ნაწილია, ეს კუთხეები ხომ ძველი ისტორიული კერაა ქართველი ხალხისა, რომელიც ერთიან ეროვნულ კულტურას ქმნიდა და ქმნის, მაგრამ თითოეული მათგანი მაინც გამოირჩევა მისთვის სახასიათო ყოფაცხოვრებით, ჩვეულებებით და, კიდევ უფრო — ბუნებით.

ფეხით მოსიარულეს მრავალი უპირატესობა აქვს მატარებლით ან ავტომანქანით მოგზაურთან შედარებით. ბევრია ისეთი ადგილი, სადაც მანქანა ვერ გაივლის და მხოლოდ ფეხით მავალს შეუძლია მიაღწიოს. ასეთ ადგილებში კი შესაძლებლობა გვაქვს მრავალი რამ ვნახოთ მაგალითად, მიუვალ მთებზე ან სადმე ხევში აშენებული უძველესი ტაძრები, ციხე-კოშკები, გამოქვაბული და ნასოფლარი.

იქნებ ვინმემ თქვას, სიძნელეები შეგვხვდებაო ფეხით მოგზაურობის დროს. რა თქმა უნდა, ზოგჯერ შეგვხვდება — მაგალითად, ავდარი, ღია ცის ქვეშ ღამის გათევა, დაღლილობა, — მაგრამ, აბა, ის რა ახალგაზრდაა, ვინც ამას შეუშინდება! მით უფრო ჩვენს დროში, როცა ყველა სოფელი ელექტრონით გაჩირაღდნებულა, ტელეფონით დაქსელილა და ყველგან ადვილად მოიძებნება თავშესაფარი, ხოლო თუ საჭირო გახდა — საექიმო პუნქტიც!

ის, რასაც ქვემოთ მოგითხრობთ, ძველი ამბავია და ერთი ზაფხულის მოგონებას წარმოადგენს 55 წელიწადი გავიდა იმ ზაფხულის შემდეგ, როცა ათმა მეგობარმა გიმნაზიელმა ფეხით მოვიარეთ საქართველოს რამდენიმე კუთხე. ეს შთაგონება კი ისე ღრმად ჩამრჩა გულში, რომ მას ვერავითარი დრო ვერ წაშლის.

ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როცა ჩვენი სახელგანთქმული პედაგოგის და მწერლის იაკობ გოგებაშვილის წიგნმა „ბუნების კარმა“ ძლიერი სურვილი აღმიძრა — მომევლო და საკუთარი თვალით მენახა ჩემი სამშობლოს სხვადასხვა კუთხე.

„ბუნების კარის“ ფურცლებზე ვხედავდი ალავერდის, გელათის, მცხეთის, სვეტიცხოვლის სურათებს, ვკითხულობდი ნარკვევებს საქართველოს ბუნებაზე, ჩვენი ხალხის ცხოვრებაზე, მის ზნე-ჩვეულებაზე, და ნატვრად მქონდა საკუთარი თვალით მენახა და გავცნობოდი ყველაფერს.

ამ ოცნების განხორციელების შესაძლებლობა მომეცა მაშინ, როცა 17 წლის ჭაბუკი გავხდი. დადგა თუ არა საზაფხულო არდადეგები, ათმა გიმნაზიელმა ზურგზე ჩანთა მოვიკიდეთ და შორეულ გზას გავუდექით. გადაწყვეტილი გვქონდა შემოგვევლო ზემო იმერეთის ჯერ არნახული ადგილები, შემდეგ სამხრეთ ოსეთი, ქართლი, კახეთი, ქიზიყი და, თუ შევძლებდით, უკან დაბრუნებისას ბორჯომის ხეობაც დაგვეთვალიერებინა.

გავიხსენებ რამდენიმე ეპიზოდს.

## პირველი დღე ბედნიერად დაიწყო

მარგანეცით და თავისი მაღაროებით ცნობილი ჭიათურა წინა წელიწადში გვქონდა ნანახი. ამიტომ ჭიათურამდე მატარებლით მივედით და ჩვენი მოგზაურობაც ძირითადად იქიდან დაიწყო. ჩამოვედით თუ არა ვაგონიდან, გეზი ავიღეთ სხვიტორისაკენ, — აკაკი წერეთლის მშობლიურ სოფლისაკენ.

თვალს ხიბლავდა გარემო ბუნების სილამაზე. დიახ, სწორედ ამგვარ ედემში უნდა დარწეულიყო აკვანი იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრმისა ვინც შემდეგ გახდა საქართველოს დიდი ჭირისუფალი, ვისი პოეზიაც საუკუნეზე მეტია ხალხის გულს ატკბობს და მომავალშიც ყოველთვის სულიერ საზრდოს მისცემს.

მივიჩქარით ვნახოთ სათაყვანებელი მგოსნის სახლი და... ვინ იცის თუ ბედმა გაგვიღიმა, თვით აკაკისაც შევხვდეთ.

— კიდევაც რომ აქ იყოს, არ მიგვიღებს... — დაეჭვებულია ერთი ჩვენთაგანი — ვინ დათვლის რამდენს ენატრება მისი ნახვა და ყველა მსურველს ხომ ვერ მიიღებს!

აკაკი არაერთხელ დაგვინახავს ქუთაისში ხან ეტლით, ხან ქუჩაში ფეხით მიმავალი. ერთხელ ქართულ გიმნაზიაშიც გვესტუმრა და მოსწავლეების მიერ გამართულ საღამოს დაესწრო, როცა „პატარა კახი“ წარმოვადგინეთ დერეფანში სახელდახელოდ აშენებულ სცენაზე. პირადად მე რამდენიმეჯერ მისი ალერსიც მეღირსა, როცა ჩემს მშობლებთან ოჯახში ყოფილა, მაგრამ თავის სოფელში და საგვარეულო სახლში მასთან შეხვედრა, ეს მაინც უფრო მიმზიდველი და სანატრელი იყო.

ალბათ წაკითხული ან გაგონილი გექნებათ, რომ სხვიტორის მდებარეობა ძალიან ლამაზია. ამას აღარ გავიმეორებ, მხოლოდ ვიტყვი, რომ რამდენჯერაც უნდა ნახოთ ეს სოფელი, ყოველთვის მოხიბლული დარჩებით, და კიდევ და კიდევ მოინდომებთ იქ მისვლას.

აკაკის სახლი მდინარე ჩიხურას ზემოთ დგას, ფერდობზე. სახლი დიდია, ქვითა და აგურითაა აშენებული, წინ სვეტებიანი აივანი აქვს და უმალვე შენიშნავთ მის არქიტექტურულ თავისებურებას. ახლა იქ სახლ-მუზეუმია, სადაც დიდი პოეტის ცხოვრებასთან დაკავშირებული ექსპონატებია დაცული. აქ დაიბადა აკაკი, თავისი სიცოცხლის მრავალი წელიწადი აქ გაატარა, აქ დასწერა არა ერთი უკვდავი ქმნილება და ბოლოს, აქვე გარდაიცვალა.

აკაკის ეზოს რომ მოვაღწიეთ, ჭიშკართან შემოგვეგება ნაცრისფერჩოხიანი, მოკლეწვერიანი შუახნის კაცი. თვალი რომ შევავლე, მაშინვე დონ-კიხოტი მომაგონდა. სახით ის ძალიან გავდა გამოჩენილი ფრანგი მხატვრის გუსტავ დორეს ფანტაზიით შექმნილ სერვანტესის გენიალური რომანის მთავარი გმირის სურათს. როგორც მერე გავიგეთ, ნაცრისფერჩოხიანი კაცი აკაკის მოურავი კოტე აბდუშელიშვილი ყოფილიყო.

მოურავმა გამოგვიცხადა: ამჟამად აკაკი აქ არ ბრძანდება, ქალაქში იმყოფებაო. ძალიან თავაზიანად, თანაც ნაღვლიანად გვითხრა ჩვენთვის სამწუხარო ეს ამბავი თითქოს კიდევაც გულწრფელად შეგვიცოდა და მოგვიალერსა, მაგრამ რატომღაც მაინც ეჭვი გვქონდა, რომ მართალს არ გვეუბნებოდა. იქნებ ის ფრთხილობდა, რომ მოხუცი პოეტი არ შეეწუხებინა ვინმე უსაქმოდ მისულს, მით უფრო — ყმაწვილებს. ასე ვფიქრობდით, მაგრამ რა გვექნა, ძალით ხომ ვერ შევიჭრებოდით. გავბრუნდით, ერთ მოხერხებულ ადგილზე ჩამოვსხედით მოწყენილნი და შორიახლოდან შევყურებდით სახლსა და ეზოს... იქ დიდი პოეტისა და ადამიანის საყვარელი ადგილია, იმ ეზოში ის ხშირად დადის, იმ არენიდან ხშირად გასცქერის გარემო მთებს, ვაკეზე გაშენებულ სოფლებს და ფიქრით თავს ევლება მთელ სამშობლოს... დიდხანს



აკაკი წერეთელი. 1912 წელს.

ვისხედით გარინდულნი, ბოლოს ავიშალენით და გზას გავუდექით.

დალმართში უეცრად ვიღაცამ ხმა დაგვაწია. ჩვენთა... ჩამორბის ახალგაზრდა გლეხი და გვეუბნება: დაბრუნდით, ბატონმა მოსვლა გთხოვათო.

მაშინვე შემოვტრიალდით. ეზოში რომ შევედით, ისე... აბდუშელიშვილი შეგვხვდა და სახლისაკენ გაგვიძღვა... მაგრამ ისე გახარებული ვიყავით, არც გვიფიქრია საყვედურის თქმა. როგორც მერე გვითხრეს, აკაკის გაუგო... რომ ქართული გიმნაზიის მოსწავლენი ვიყავით და ჩვენი ნახვის სურვილი გამოეთქვა.

აივანზე გამოგვეგებნენ აკაკი და მისი და ანა, მაღალი, გამხდარი მოხუცი, რომელსაც შავები ეცვა და შავი თავსაფარით ჰქონდა თავი წაკრული. ანა თავის დიდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ ძმაზე უფროსი იყო რამდენიმე წლით, მაგრამ ბევრად უფრო მხნე და ჯანმრთელი ჩანდა.

ჩვენი სასიქადულო მასპინძლები ისე ალერსიანად შეგვხვდნენ, თითქოს მათი ახლობლები ვყოფილიყავით. აკაკიმ ჩვენი მოგზაურობის მიზანი რომ გაიგო, დიდად მოიწონა.

— მეფის რუსეთი იმის უფლებასაც არ გვაძლევს, რომ სკოლებში საქართველოს გეოგრაფია ვასწავლოთ. ამგვარი მოგზაურობით მაინც გაეცანით და შეისწავლეთ თქვენი სამშობლო ქვეყანა, — გვითხრა აკაკიმ და მერე ღიმილით დაუმატა: — ნეტავი მეც თქვენთან ერთად მოვდიოდე. არ შემიამხანაგებთ, ბიჭუნებო?

— სულ ხელით გატარებთ, ბატონო აკაკი, ოღონდ კი წამობრძანდით! — მაშინვე შესძახა ჩვენს შორის ყველაზე თამამმა მოსწავლემ.

არ გვინდოდა მოხუცი პოეტის შეწუხება, მალე წასვლას ვაპირებდით, მაგრამ სადილად დაგვტოვეს და გულუხვადაც გაგვიმასპინძლდნენ. ნასადილევს ისევ აივანზე გავედით, აკაკიმ ჯერ დაუბეჭდავი თავისი ერთი პოემის ხელნაწერი გამოიტანა და რამდენიმე ნაწყვეტი წაგვიკითხა. მანამდისაც მოვისმენია მისთვის, როცა ქუთაისში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე „განთიადი“ და სხვა ლექსები წაიკითხა, მაგრამ აქ, სხვიტორში, მის გვერდით, აივანზე რომ ვიჯექი და ვუსმენდი, თითოეული სიტყვა და ჩუმი, მისუსტებული ხმა უნაზეს გალობად მეჩვენებოდა. ახლაც, ამდენი ხნის შემდეგ, ყურში ჩამესმის ეს ხმა — რა დამავიწყებს მას!

საღამო მოახლოვებული იყო, როცა დავემშვიდობეთ ჩვენს სათაყვანებელ მასპინძელს. უსაზღვროდ გახარებული ვიყავით, რომ რამდენიმე საათი გავატარეთ ქართველ ხალხის დიდებასთან. ისე ბედნიერად ვგრძნობდით თავს, რომ არც კი გვიგვრძვნია როგორ მივედით სოფელ ჭალაში, საიდანაც მეორე დღეს ოსეთისკენ უნდა წავსულიყავით.

დაღამდა, სოფლის განაპირას მიტოვებული წისქვილი დავინახეთ. სხვა გამოსავალი არ იყო და, თითქმის დანგრეული შენობა, რომელსაც სახურავი აღარ ჰქონდა, ხოლო იატაკის ნაცვლად რამდენიმე ლერი ფიცარი დარჩენილიყო, ღამის გასათევ ადგილად ავირჩიეთ. ჩამოვლაგდით და თავქვეშ ჩვენი ზურგჩანთები ამოვიდევით. საწოლად გამოყენებული ფიცრების ქვეშ ღელის მსგავსი პატარა მდინარე მოდუდუნებდა. მაგრამ ეს ხმა სასიამოვნოც იყო, ალერსიანად ჩაგვესმოდა ყურში. დაღლილები ვიყავით და მალე ტკბილად ჩაგვეძინა.

## აი, თურმე რატომ უწოდეს „ყვირილა!“

დადგა თუ არა ცისკარი, წამოვიშალენით. მოღუშული, ნაღვლიანი დილა იწყება. გარემო ნისლის რიდეშია გახვეული და ყველაფერი, — სახლი, ხე, გორაკი — მოჩვენებითი, ლანდისებრი ჩანს. შარაზე შემოგვხვდა ჭალელი გლეხი, რომელსაც მხარზე თოხი გაედო და ყანაში სამუშაოდ მიდიოდა. ჩვენთვის საჭირო გზა რომ მოვიკითხეთ, დალაგებით აგვიხსნა საით წავსულიყავით და როგორ დავდგომოდით ოსეთში გადასასვლელ ბილიკს.

— შორია იქამდე? — გულუბრყვილობა იყო, მაგრამ მაინც ვიკითხეთ.

გლეხი წამიერად დუმს და, ბოლოს, თითქოს გაუბედავად, ამბობს:

— არც ისე... აი იმას გადაივლით თუ არა, იქ იქნებით, — ხელს იშვერს აღმოსავლეთისკენ, სადაც ნისლით შემოსილი მაღალი მთა ზმანებას უფრო გავს.

გამოცდილი გვქონდა, როცა რომელიმე სოფლელს შევეკითხებოდით, — შორს არის თუ არა ესა თუ ის ადგილი, — მაშინვე გვეტყოდა:

— არა, როგორ გეკადრება! აი, იმ გორაკთან რომ მიხვალ, ჩაუხვევ და იქვეა!

ამით დაიმედებული ჯერ მხნედ მიაბიჯებ, მერე კი... მიდიხარ, მიდიხარ, ერთი კი არა, სამი გორაკი გადაიარე, ბევრჯერ ჩაუხვიე და აუხვიე, მაგრამ მანძილს მაინც არა აქვს დასასრული.

ჭალელმა რომ დაფიქრებულად გვითხრა „არც ისეო“, ვიგრძენით, — წინ არც თუ იოლი გზა გვედო. არა, ეს არ გვაშინებს. იჭვნეულად შევცქერით მხოლოდ ნისლს და მოქურუხებულ ცას. ვითომ ავდარი იქნება? მაგრამ ჯერ ხომ ძალიან ადრეა, დღე ახლა იწყება და იმედს არ ვკარ-



აკაკი წერეთლის სახლი სხვიტორში

ევგენი
მაჭავარიანი




# სიმფონიური ორკესტრის საკრავები

სიტყვა „ორკესტრი" შორეულ წარსულში წარმოიშვა. ძველი ბერძნები ასე უწოდებდნენ მაყურებლებსა და სცენას შორის მდებარე ადგილს. ძველ ბერძნულ თეატრში „ორხესტრა" ნიშნავდა „ადგილს მწყობრისათვის, გუნდისათვის". ამ ადგილს იკავებდა გუნდის ის ნაწილი, რომელიც სიმღერას და სიტყვიერ ტექსტს ასრულებდა მუსიკალური საკრავების თანხლებით.

ეს ტერმინი XV-XVI საუკუნეებში, ე. წ. „აღორძინების ხანის" ეპოქაში, კვლავ შემოვიდა ხმარებაში. სწორედ ამ დროს იწყებს თავის ისტორიას ჩვენი თანამედროვე ორკესტრი.

დღეს ამ სიტყვას უკვე სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ვამბობთ „ორკესტრს" და ვგულისხმობთ ან ერთ რომელიმე გარკვეულ საშემსრულებლო გაერთიანებას — სიმფონიურ, სასულე, საესტრადო, ხალხურ საკრავთა, კამერულ, სიმებიან ჯაზ-ორკესტრს, ან ადგილს, რომელსაც იკავებს ორკესტრი თეატრებში — დრამატულსა და მუსიკალურშიც (როგორც ეს იყო ძველ საბერძნეთში — სცენასა და მაყურებლებს შორის), ან შემსრულებელთა კოლექტივს, შემოქმედებით ორგანიზაციას. (ასეთია საქართველოს სახელმწიფო-სიმფონიური ორკესტრი, რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი, საესტრადო ორკესტრი „რერო" და მრავალი სხვა).

ორკესტრის თითოეულ სახესხვაობას აქვს თავისი დანიშნულება, თითოეულს ახასიათებს გარკვეულ საკრავთა შემადგენლობა, შესრულების მანერაც კი.

ხალხურ საკრავთა ორკესტრების სპეციფიკა განპირობებულია ამა თუ იმ ერის ხალხური მუსიკის სპეციფიკით. ეს, უთუოდ, ყველაზე ადრინდელი სახესხვაობაა საკრავთა ანსამბლისა. საქართველოში მრავალი საუკუნის წინ იყო ცნობილი კოლექტიური მუზიცირების ფორმა, ძველად ასეთ ორკესტრებს „მწყობრი" ერქვა. (ნახ. № 1). ხალხურ საკრავთა ორკესტრის ფუნქციები ძირითადად შემოფარგლული იყო საცეკვაო მელოდიების შესრულებით ან სიმღერის თანხლებით.

ჩასაბერ საკრავთა (ანუ სასულე) ორკესტრი საომარი წარმოშობისაა. შორეულ წარსულში ბრძოლის ველზე აუცილებლად იხმოდა მუსიკა. ამის შესახებ არსებულ სხვა მრავალ ცნობებს შორის მოვიყვანოთ XII საუკუნის ქართველი პოეტის შავთელის სტრიქონები:

დრო შემოვლდა, დროშა მოვდა,
ჩქერნი დაჰკრნენ ათხრებითა.
ბ უ კ - ტ ა ბ ლ ა კ ო ბ ი თ საარაკობით
მედგრად იბრძოდნენ გამწყაზრებითა...


საქ. სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი მთ. დირიჟორი ჯანსუღ კახიძე.


კლარნეტი


ვალტორნა


კონტრაბასი

საკრავები ბუკი და ტაბლაკი დღემდე შემონახულია საყვირისა და დოლდაფების სახით. ჩასაბერ საკრავთა ორკესტრი ხშირად გვხვდება, როგორც დამოუკიდებლად (მეტწილად სამხედრო ნაწილებში) ისე მონაწილედ მუსიკალურ ნაწარმოებში. მაგალითად, ვერდის ოპერა „აიდაში" ორკესტრი გამოდის ცალკე, სცენაზე, ბერლიოზის „რეკვიემში" ემატება სიმფონიურ ორკესტრსა და გუნდს.

თანამედროვე სიმფონიური ორკესტრის წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია XVII-XVIII საუკუნეებში მთელი ევროპისათვის დამახასიათებელ მზარდ ინტერესთან კონცერტისადმი. თუმცა, სხვადასხვა ხალხის საორკესტრო ანსამბლები ადრეც არსებობდნენ. ჯერ იტალიაში და შემდეგ ავსტრიაში ჩამოყალიბდა სიმფონიური ორკესტრის ბირთვი. ამ დროს უკვე იწერება საორკესტრო ნაწარმოებები, სახელწოდებით „სიმფონია". ეს ბერძნული სიტყვა („სიმ" — ერთად და „ფონი" — ბგერა) ნიშნავს „ბგერით თანხმოვნებას". თავდაპირველად სიმფონია წარმოადგენდა ორკესტრისათვის დაწერილ რამდენიმე ნაწილიან ნაწარმოებს, რომელშიც ნაწილები ერთმანეთს სცვლიდნენ ტემპების კონტრასტის მიხედვით: ჩქარი — ნელი (აქ ადვილად შეამჩნევთ კავშირს შუა

---

გავით, რომ თანდათან გაიმარჯვებს დარი და მზე გამოანათებს.

აი ის ბილიკიც! აქედან ციცაბო აღმართი იწყება. გარშემო ხშირი ტყეა. ხეებს შორის ნისლი დაბორიალობს და ხლართებით მიიწევს ზევითკენ. ცას რომ მოიხედავ, ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ღრუბლებზე დგახარ. ალაგ ძლივს ვარჩევთ ბილიკს. დიდხანს მივდივართ მდუმარედ, ნელა, მძიმე ნაბიჯით. ტყის სიჩუმეში შორიდან დროდადრო მოისმის წყლის ხმაური. სადღაც ღრმა ხევში ბობოქრობს მთის პატარა მდინარე. აი, ალბათ, ხანძქარად რამოსის, აქაფებული გადავლებს ხოლმე ლოდებს, ვიწრო კალაპოტში რომ ხავსმოდებულან და შენგრებას უპირებენ. მოთმინებით, თითქოს მეჯინიბეთ, მიიარეებს წყალი ხეებს და ყვავის და ყვავილოვანს შესძახის, ვინ არ დამინახავს. მაგრამ, დაიჯერებს თუ არა, უცხადე დაწყნარდება და ისეთი მშვიდი და უმანკო გახდება, რომ ვერც წარმოიდგენ, თუ აქამდე დაუდეგრობელი და დაუმორჩილებელი იყო. წუხელ რომ ნაწვიმარში, ისეთივე მშვიდად მიედინებოდა და ძილის წინ გვინანავებდა. ეს ხომ არ არის ის ნაკადული, რომელიც ძალა მთის კალთებზე ბუტბუტებს და გაცოცხლებული მიექანება ბარისკენ?

ჩვენი იმედი მართლდება. რაც ზევით ავდივართ, ცა თანდათან იწმინდება და დარი იმარჯვებს. აქა-იქლა დაღოღიალებს ნისლი, ზოგჯერ შეერთდება და მობურავს ხევებს, თავრამ სულ მალე ილევა ძალა, იცრიცება, დნება და უკვალოდ ქრება. უკვე გარკვევით ვხედავთ გარემოს მოჩვენებითად სახლებიც მოვლანდეთ. ეს იყო სამხრეთისკენ ბაქანი, თითქმის ალპურ ზონაში, მოვაკებულზე გაშენებული სოფელი.

უღელტეხილს რომ გადავლახავდით, ერთმა ნაკადულმა მიიქცია ჩვენი ყურადღება. ისეთი ამბით მიედინებოდა, გაგვაკვირდა და უნებურად ღიმილიც მოგვგვარა. სად ჰქონდა ამ პატარა მდინარეს, თუ კი შეიძლება ასე ეწოდოს წყალს, რომლის კალაპოტის სიგანე სამი-ოთხი ნაბიჯი თუ იქნებოდა, ამოდენა ხმა?! მთიდან დაბლობისკენ მიმავალი ნაკადული გულიდან ხმაურიანია, მაგრამ აქ სულ სხვაგვარ ჟღერდა იყო წყალი. ის ყვიროდა, სწორედ რომ ყვიროდა, თითქოს გულმოსული და თითქოს დაჭრილებული, — ყველაფერს წაგლეჯავ, რაც წინ დამიხვდებაო.

გაგვეკვირვა და ჩვენი აღტაცება გამოიწვია იმან, რაც შემდეგ დავინახეთ: ამ პატარა მდინარეში კალმახები ნავარდობდნენ. ალაგ ისე მყვრი იყო და ისე ახლო ჩანდნენ, რომ ხელით მათი დაჭერა მოვინდომეთ. მაგრამ კალმახი ხომ ლოქოსავით არ არის, სადღაც ჩაიმალოს და გაინაბოს! ცივ, ანკარა წყალში ისე სწრაფად მოძრაობს, ზოგჯერ თვალს ვერ მიადევნებ, თუ საით გასცურა. მჩქეფარე ნაკადული მისი სტიქიაა და მხოლოდ ჯიუტი ბადე თუ დაიტევს ხოლმე.

მთის ეს ნაკადული მდინარე „ყვირილას" დასაწყისია. ყვირილა გამოდის ერწოს ტბიდან, ჯერ მიწის ქვეშ მიედინება და მერე, როგორც კი გვერდზე თავს დააღწევს და მიწის ზედაპირზე გამოჩნდება, უმალვე დიდი სისწრაფით ეშვება დაბლისკენ. ეშვება და, რა აღტაცებით, რომ იცოდეთ! გამორჩეული მეცნიერი, გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი თავის ცნობილ წიგნში „აღწერა სამეფოისა საქართველოისა" სწერს: „მდინარეებმან ამან მიიღო სახელი ქარ თვისის ჩქარისა და კლდესა ზედა დინებითა, ვინათგან ხმოვანებს შორს სასმენელად"-ო. ჰო, თურმე ტყუილად და შემთხვევით არ დაურქმევიათ მისთვის ასეთი, ცოტა არ იყოს, არც თუ პოეტური სახელი! მას რომ ერწოს პატარა, ძალიან სუფთა და ღრმა ტბიდან კი არა, სადმე დაბლობში ჰქონოდა სათავე, მაშინ, რა თქმა უნდა, რაიმე კეთილხმოვან სახელს შეურჩევდა ხალხი. ახლა კი, რას იზამ, თვითონ არის დამნაშავე, თვითონ მისცა საბაბი ამგვარად მოენათლათ. მაგრამ ერთგვარი საკვირველი უფლება მაინც აქვს ყვირილას: ის ხომ მხოლოდ აქ გიჟობს — ზევით, კლდეების სალტეებში მოქცეული, დაბლობში კი... ალბათ არა ერთხელ დაგინახავთ ის მატარებლიდანაც. სადგურ შორაპნიდან რიონამდე მშვიდად, თითქმის მდორედ, მიედინება და მისი ხმა, ასეთი ფერი კი იმიტომ აქვს, რომ მასში ჭიათურის მარგანეცს რეცხავენ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკუნეების საცეკვაო სუიტასთან, რომელშიც ასეთივე პრინციპით განლაგებული იყო იმ დროს გავრცელებული საცეკვაოები. კავშირი სუიტასთან გაგრძელდა დიდხანს — ბეთჰოვენის ადრინდელ სიმფონიებშიც კი გვხვდება მენუეტი)· წლიდან წლამდე იზრდებოდა ამ ფორმის მნიშვნელობა და მისი შესრულებისათვის საჭირო მუსიკალური აპარატის — ორკესტრის დონე. ჰაიდნის, მოცარტისა და ბეთჰოვენის შემოქმედებაში XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა სიმფონიური ორკესტრის ძირითადი სახე. თუმცა მისი განვითარება დღემდე არ შეწყვეტილა — მზარდი ტექნიკა და სულ უფრო რთული მუსიკალური ამოცანები განუწყვეტლივ განაპირობებენ, ერთის მხრივ, არსებულ ტრადიციულ საკრავებზე საშემსრულებლო ტექნიკის ზრდას, ხოლო მეორე მხრივ — ახალი საკრავების გამოგონებას. მაგრამ სრულყოფის ეს ძიებები არ არღვევენ სიმფონიური ორკესტრის დაკანონებულ დაყოფას ძირითად ჯგუფებად. ძირითად ოთხ ჯგუფს მსმენელი ადვილად შეამჩნევს სმენითაც და ორკესტრის ერთი დანახვითაც, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ორკესტრში ხშირად ასზე მეტი საკრავი გამოიყენება.

მუსიკოს-შემსრულებელთა ამ დიდ რაზმს აერთიანებს დირიჟორი. მის გარშემო ორკესტრის წინა ადგილს იკავებს ე. წ· სიმიანი საკრავები, რომლებზეც ხემის მეშვეობით უკრავენ. ესენია პირველი და მეორე ვიოლინოები, ალტები, ჩელოები, და კონტრაბასები — ორკესტრის ყველაზე მრავალრიცხოვანი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს საკრავები ერთნაირი წარმოშობისა და აგებულებისანი არიან. დააკვირდით: პატარა ვიოლინოსაც და დიდ კონტრაბასსაც ოთხ-ოთხი სიმი, ერთნაირი კორპუსი, შესრულების ერთნაირი პრინციპი აქვთ, განსხვავება მხოლოდ მოცულობაშია. ხემიან საკრავთა ჯგუფი ყველაზე რთულ, წამყვან პარტიებსა და მელოდიებს ასრულებს. ამ საკრავთა საშემსრულებლო შესაძლებლობა თითქმის განუზომელია ფაქიზ, გამჭვირვალე ხმოვანებიდან, უკიდურეს დრამატულ დაძაბულობამდე, გაშლილ, მღერად მელოდიიდან ვირტუოზულ პასაჟებამდე. დირიჟორის გვერდით, ხელმარცხნივ, ზის ორკესტრის პირველი ვიოლინო—კონცერტმაისტერი, რაც სიტყვა-სიტყვით, „კონცერტის ოსტატს“ ნიშნავს· ამ თანამდებობას ორკესტრში ანდობენ ყველაზე გამოცდილსა და ნიჭიერ მევიოლინეს. ხემიან საკრავებსა და, საერთოდ, ორკესტრის სხვა საკრავებს შორის ყველაზე რთული ამოცანა ეკისრებათ სწორედ პირველ ვიოლინოებს. მეორე ვიოლინოები დამხმარენი არიან. ალტებს ევალება საშუალო რეგისტრის მელოდიური თანხლება. ამ საკრავების ხმოვანება ვიოლინოებისაგან განსხვავდება სიმაღლითაც და ტემბრის (ბგერის) ფერადოვნებითაც. ჩელოს მოვალეობა წინათ, კონტრაბასებთან ერთად, მხოლოდ თანხლება იყო, მაგრამ ბეთჰოვენის სიმფონიებიდან მიყოლებული, სულ უფრო ხშირად მიმართავენ ამ საკრავების მხურე, ხავერდოვან ტემბრს, მღერადობას. კონტრაბასი იშვიათად ასრულებს სოლოს (მაშინ, როდესაც საჭიროა, რომელიმე დრამატული მასალის ხაზგასმა ან კიდევ — იუმორისტულ ეპიზოდებში. ამის ბრწყინვალე მაგალითია იგორ სტრავინსკის „პულჩინელა“). მთლიანად კი ხემიან საკრავთა კვინტეტი იმდენად მდიდარი და მრავალფეროვანი ანსამბლია, რომ კომპოზიტორები ხშირად მიმართავენ მხოლოდ ამ შემადგენლობას, კმაყოფილდებიან სიმებიანი ორკესტრის შესაძლებლობებით. ამის ერთ-ერთი მაგალითია მოცარტის „ღამის პატარა სერენადა“.

ორკესტრში ხემიან საკრავთა ჯგუფის შემდეგ განლაგებულია სასულე ანუ ჩასაბერი საკრავები. თავის მხრივ ეს საკრავები ორ ჯგუფად იყოფა — ხისა და ლითონის ჩასაბერ საკრავებად. ვენის კლასიკოსთა სიმფონიურ მუსიკაში გვხვდება ამ ჯგუფის ძირითადი შემადგენლობა — ერთი ან ორი ფლეიტა, ორი ჰობოი ან ორი კლარნეტი (ზოგჯერ ერთდროულად იყო გამოყენებული ჰობოიც და კლარნეტიც) და ორი ფაგოტი. ამ საკრავებს შორის ყველაზე „მხცოვანია“ ფლეიტა. მისი წინაპრები — პრიმიტიული ძვლის სალამურის სახით — ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში იყო ცნობილი. თანამედროვე ფლეიტა გვხიბლავს ნაზი, ციური ხმოვანებით, დაბალი რეგისტრის ნათელი ლირიულობით და მაღალ რეგისტრში — დაძაბული, მყვირალა ხმოვანებით· ფლეიტის სოლოს ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი ფრანგი კომპოზიტორის რაველის „ბოლერო“-ში გვხვდება. თანამედროვე ორკესტრში ხშირად რამდენიმე ფლეიტაა გამოყენებული, მათ შორის, ტრადიციულის გარდა, ე. წ. ფლეიტა-პიკოლო,— პატარა ფლეიტა, რომელსაც ყველაზე მაღალი ბგერების აღება შეუძლია. სიმფონიურ ორკესტრში ფლეიტისტის გვერდით ზის ჰობოიზე შემსრულებელი. ამ საკრავს შეუძლია კარგად გადმოსცეს პოეტური, პასტორალური განწყობილება. გაიხსენეთ ზაქარია ფალიაშვილის „დაისის“ შესავალი, — გახსოვთ, რა მომხიბვლელია მისი ნაზი მელოდია?! ამ სახის შექმნაში დიდ როლს ასრულებს კომპოზიტორის მიერ შერჩეული საკრავი ჰობოი. მრავალფეროვანია ხის ჩასაბერი საკრავის — კლარნეტის ხმოვანი შესაძლებლობა· კომპოზიტორები მას სხვადასხვა მუსიკალური მიზნით იყენებენ. ჩაიკოვსკის სიმფო-

სიმფონიური ორკესტრი





ვიოლონჩელი



ტუბა



ტრომბონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიურ ფანტაზიაში „ფრანჩესკა და რიმინი" კლარნეტს ევალება ურთულესი სოლო: გმირის მონოლოგი-თავგადასავალი. აქ კლარნეტის ხმოვანება ტრაგიკულ სიმძაფრეს აღწევს. ფრანგ კომპოზიტორ ბერლიოზს კი კლარნეტის ერთ-ერთინაირსახეობა, ე. წ. „მაღალი კლარნეტი", გამოყენებული აქვს იმისათვის, რომ მისი ხმოვანებით შექმნას ალქაჯების მახინჯი სახე. საინტერესო ტემბრი და რთული ტექნიკური შესაძლებლობა ახასიათებს ფაგოტს. ეს საკრავი სიგრძით ყველაზე დიდია ორკესტრში. ფაგოტის ყველა მილის საერთო სიგრძე 7 მეტრს აღწევს კონტრფაგოტი დაბალ ბგერებს გამოსცემს. იგი ორკესტრში ზოგჯერ ერთიც საკმარისია. თუ თქვენ მოსმენილი გაქვთ სერგეი პროკოფიევის სიმფონიური ზღაპარი „პეტია და მგელი" — ადვილად გაგახსენდებათ ფაგოტის ხმოვანება, — კომპოზიტორი მისი საშუალებით გაბრაზებული ბაბუას ბუტბუტს გადმოგვცემს.

ჩასაბერი საკრავების ხმოვანებას სიმფონიურ ორკესტრში ავსებენ ლითონის საკრავები. მე-18 საუკუნეში მათი შემადგენლობა მხოლოდ ვალტორნებით განისაზღვრებოდა. „ვალტორნა" გერმანული წარმოშობის სიტყვაა: „ვალდ ჰორნი" — ტყის ბუკს ნიშნავს. არაჩვეულებრივად მღერადი, რბილი ტემბრი საშუალებას იძლევა ამ საკრავზე შესრულდეს საკმაოდ გაშლილი, მელოდიური სოლო. ერთდროულად ოთხი ვალტორნა შესანიშნავ აკორდულ ხმოვანებას გამოსცემს. შემდგომში ვალტორნას შეემატა საკრავები. ე. წ. „სამხედრო ორკესტრიდან" — საყვირი — თავის მაღალი, დაძაბული ტემბრით და შუა რეგისტრებში ნათელი მღერადობით; ტრომბონები, რომელთა ფუნქცია ჩელოს ფუნქციას ჰგავს. ორკესტრს, რომელშიც გამოყენებულია ტრომბონები, ეწოდება „დიდი სიმფონიური ორკესტრი". XIX საუკუნეში ლითონის ჩასაბერ საკრავებს შეემატა ტუბა — ყველაზე დაბალი ხმოვანების მქონე საკრავი.

სიმფონიური ორკესტრის მეოთხე ჯგუფს წარმოადგენენ დასარტყამი საკრავები. ადრე აქ გამოყენებული იყო მხოლოდ ერთი ან ორი ლიტავრა — ლითონის დიდი ქვაბი, რომელზეც გადაჭიმული იყო ტყავი ან დამუშავებული აპკი. თანამედროვე მუსიკაში ლიტავრის დაბალი, ტონალურად ზუსტი ხმოვანება გამოყენებულია მელოდიურობის გასაძლიერებლად. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია დ. შოსტაკოვიჩის მე-11 სიმფონია „1905 წელი". ლიტავრის გარდა არის კიდევ რამდენიმე საკრავი, რომლებსაც შეუძლიათ ზუსტი სიმაღლის მქონე ბგერების აღება. მაგალითად ქსილოფონი — ხის ფირფიტების რიგი, რომელზეც პატარა ჩაქუჩებით უკრავენ; მისივე მსგავსი, ოღონდ ლითონის ფირფიტებით — მეტალოფონი, თანამედროვე ელექტროინსტრუმენტი — ვიბრაფონი. დანარჩენ დასარტყამ საკრავებს ხშირად აერთიანებენ ერთი სახელწოდებით — „ბატარეია." აქ არის სხვადასხვანაირი დოლები — დიდები და პატარები, სამკუთხედები, ზანზალაკები, ზარები, დიდი გონგი, ე. წ. თეფში, და მრავალი სხვა. ამ საკოავებზე შესრულება დიდ ოსტატობას მოითხოვს, ვინაიდან კომპოზიტორები ძალიან უხვად იყენებენ დასარტყამ საკრავთა მდიდარ შესაძლებლობას, როგორც მუსიკის რიტმული ორგანიზაციისათვის, ასევე ხმისმიერი ფერადოვანი ეფექტების მიღწევის მიზნით.

არსებობს კიდევ რამდენიმე საკრავი, ესენია: არფა ანუ ჩანგი, ყველასთვის ცნობილი ფორტეპიანო, „ჩელესტა", რომელიც პიანინოს ჰგავს, მაგრამ სიმების მაგივრად აქ ლითონის პატარა ფირფიტებია; ორღანო — ძველთაძველი საკრავი, რომელსაც ათასობით მილი და ორკესტრის თითქმის ყველა საკრავის ტემბრი აქვს. ორღანოს ძალიან იშვიათად იყენებენ ორკესტრში, მაგრამ თუ ხაჭიროა ხაზი გაესვას მედიდურ განწყობილებას, მაშინ ორღანო მისწრებაა! ბრწყინვალედ არის გამოყენებული ეს საკრავი ა. ბალანჩივაძის 1-ელ სიმფონიაში.

ორკესტრი — ურთულესი აპარატია. კომპოზიტორის ორკესტრული აზროვნება — მისი უნარი საკრავებს შორის მუსიკალური მასალის განაწილებისა — ნაწარმოების სრულყოფის საწინდარია; სიმფონიური ორკესტრის საკრავების ცოდნა კი მუსიკის მოყვარულს ხელს შეუწყობს უფრო ღრმად ჩაწვდეს მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთ ყველაზე რთულსა და საინტერესო ჟანრს — სიმფონიურ მუსიკას.


ქსილოფონი


სამკუთხედი


ფაგოტი


ჰობოი


ფლეიტა


არფა


საყვირი


ლიტავრა


დიდი და პატარა. დოლები

ორღანო


ეროვნული
ბიბლიოთეკა



ოთარ მამფორია

# დიდგულა

1.

მთელი წელი გაატარა
ჩხუბითა და განგაშით...
ჭიდაობა არ იკმარა
და არც ლახტის თამაში.
ტრაბახობდა: „ფალავანი
ჩემისთანა ვინ თქმულა!“
ამიტომაც მიაკერეს
მეტსახელი — „დიდგულა“...



...პიონერთა სასახლეში
შემოაღო კარები, —
ვინ წაიყვანს ხვამლის მთაზე,
მისი ორიანებით?
დატოვეს და „დიდი გული“
აუძგერდა ძალიან.
სხვებზე გული რატომ მოსდის,
როცა მისი ბრალია?!
ადგა, თვალებცრემლიანმა
მათგან პირი იბრუნა —
სოფლისაკენ იმავ დილით
დედას გაჰყვა „დიდგულა“...



2.

მოჩანს ხვამლი თმაჭაღარა,
მზისგან განათებული, —
დასაპყრობად შესევია
პიონერთა კრებული...

აი, უკვე აიარეს
ხვამლის მკერდი მაღალი,
ნახევარი გზაც არ დარჩათ
მთის წვერამდე სავალი.
დაბლა, ხევში, სოფლის ხედი
ნისლით გადაიბურა...
— „ე, ბიჭებო, იმ სოფელში
ცხოვრობს ჩვენი „დიდგულა“.

3.

გაჯიუტდა „დიდგულა“ და
დედის რჩევას არ ისმენს, —
შეარჩია ორი ბიჭი
და დაიძრა ხვამლისკენ.
წინ მიდის და გაიძახის:
— ვერ ამასწრებს ვერავინ! —
მაგრამ კლდეზე მარტოდ გარჩა
მეწინავე „მზვერავი“.
პიონერთა ერთი რაზმი
მიეშველა თოკებით...
ჩვენს დიდგულას სირცხვილისგან
აუწითლდა ლოყები;
იდგა ასე დარცხვენილი,
თავს ვერ გრძნობდა მამაცად;
თავკერძა და ბაქი-ბუქა —
სამარცხვინოდ დამარცხდა!
იდგა ასე დარცხვენილი,
მოეძალა ფიქრები, —
გულში ამბობს: „მეგობრებო,
მუდამ თქვენთან ვიქნები!“
ახლა თურმე არავინ ჰყავს
ჩვენს „დიდგულას“ მძრახველი:
საბოლოოდ მოიშორა
ეს ზედმეტი სახელი.

მხატვარი იური ძლიბაძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ დავზოგოთ დრო

## 18 წესი

ადგომის წინ დიდხანს ხომ არ ზოზინობთ საწოლში, საუზმეზე ზედმეტ დროს ხომ არ ხარჯავთ ანდა სამუშაოს დაწესებულზე ცოტა ადრე ხომ არ ამთავრებთ; ხომ არ უყურებთ ტელეგადაცემას, მაშინაც კი, როცა იგი არავითარ სიამოვნებას არ განიჭებთ, დასვენების დღის წინ ხომ არ გთურგნავთ იმის შეგნება, რომ კვირის მანძილზე ცოტა გააკეთეთ; არ გიკვირთ, რომ არასოდეს არ გყოფნით დრო? თუ ერთ-ერთი მაინც ამ კითხვებიდან მიზანში მოხვდა, ცხადია, თქვენ ფლანგავთ დროს.

მაგრამ თუ თქვენ გაწუხებთ იმის შეგნება, რომ ხშირად დრო უაზროდ მიდის, თუ გინდათ გასულ დღეთა წინაშე ვალში არასოდეს არ გრძნობდეთ თავს და გულწრფელად ისწრაფვით გააკეთოთ მეტი, მაშასადამე, თქვენ შეძლებთ დაიმორჩილოთ დრო.

იმისათვის, რომ რაც შეიძლება მოკლე დროში გააკეთოთ რაც შეიძლება მეტი, საჭიროა სულ ორი რამ: ორგანიზებულობა და თვითდისციპლინა.

გთავაზობთ 18 წესს, რომლებიც თქვენ დაგეხმარებათ ამის მიღწევაში.

1. **ზუსტად განსაზღვრე მიზანი.** ადამიანების უმრავლესობა ტყუილად ხარჯავს დროსა და ენერგიას რაიმე საქმეზე მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ზუსტად არ აქვთ გარკვეული რისი გაკეთება უნდათ. როცა არ იციან კონკრეტულად რისკენ მიისწრაფიან, ისინი დასაწყისშივე, სტარტზევე იბნევიან, გეზს და მხნეობას კარგავენ და მთავარი გზიდან ბილიკებზე უხვევენ. ამიტომ დასაწყისშივე განსაზღვრეთ თუნდაც „დანიშნულების წერტილი“ და მას გაცილებით მოკლე დროში მიაღწევთ. ეს გადამწყვეტი პირობაა.

2. **გაამახვილეთ ყურადღება მთავარზე.** ჩამოწერეთ ქაღალდზე ყველაზე საჩქარო საქმეები, პირველ რიგში, ცხადია, ყველაზე მთავარი. ხვალ მოკიდეთ ხელი საქმეს № 1-ს და არ მოეშვათ, ვიდრე არ დაამთავრებთ. შემდეგ ასევე მოუქეცით საქმეებს: № 2-ს, № 3-ს და ასე შემდეგ. ცხადია, აქ ლაპარაკია საქმეზე, რომლის გაკეთებაც მთლიანად თქვენზეა დამოკიდებული. ნუ შეშფოთდებით, თუ დღის ბოლოს აღმოჩნდება, რომ გაკეთებული გაქვთ მხოლოდ ერთი-ორი მათგანი. ხვალ ისევ გაამახვილეთ ყურადღება ყველაზე მთავარზე.

3. **შეუქმენით თქვენ თავს სტიმული.** ჩვენ უკეთ ვაკეთებთ იმას, რისი გაკეთებაც გულით გვწადია. ასეთ საქმეს ჩვენ ყოველთვის წინა პლანზე წამოვწევთ ხოლმე, ვიდრე იმას, რომლის გაკეთებაც აუცილებელია. აქედან გამოდის ამოცანა: როგორღაც მოვახერხოთ და საქმე — „აუცილებელია“, ვაქციოთ საქმედ: „მწადია“. და ჩვენი შრომის პროდუქტიულობა ავტომატურად გაიზრდება.

4. **დააწესე მტკიცე ვადები.** ერთ-ერთი საშუალება იმისათვის, რომ შენი თავი აღებული ვალდებულების წინაშე პასუხისმგებელი გახადო, არის გარკვეული საქმის შესრულებისათვის მტკიცე ვადის დანიშვნა. ერთია — უთხრა შენ თავს: „წერილს პირველი შესაძლებლობისთანავე გავცემ პასუხს“ — და სულ სხვაა — გადასწყვიტო: „წერილზე ვუპასუხებ და მერე წავალ სასადილოდ“. პირველ შემთხვევაში თქვენ საკუთარ თავს აძლევთ ყოველგვარი გამამართლებელი საბაბის მოძებნის საშუალებას, მეორე შემთხვევაში კი — თქვენ თავს გარკვეულ ჩარჩოში სვამთ. ოღონდ, აქ ორი მომენტია გასათვალისწინებელი.

**პირველი: ვადები უნდა იყოს რეალური.** ამის გარეშე ვერ შესძლებთ აღებული ვალდებულების შესრულებას, გული აგიცრუვდებათ და, შესაძლოა, საქმეზე სულაც ხელი აიღოთ.

**მეორე: მტკიცედ დაიცავით ვადა.** ნუ მოეშვებით, ნუ გაანებივრებთ თქვენ თავს იმაზე მსჯელობით, რომ დროში ვერ ჩაეტევით და საჭიროა მისი გადავადება. პირიქით, იყავით ულმობელი საკუთარი თავის მიმართ.

5. **იყავით მტკიცე.** ნუ გახდით საქმეს სადღეხვალიოდ. ამბობენ, წარმატებას, მიაღწევ, თუ 51 %-ის შემთხვევაში სწორად მოიქცევიო; ამიტომ, თუ თქვენ ხელთაა გარკვეული ფაქტები, გადაწყვიტეთ და იმოქმედეთ. თუ რაიმე უკვე გააკეთეთ, ტყუილად ნუ დაკარგავთ დროს იმაზე ფიქრში, რომ ბრძნული გადაწყვეტილება მიიღეთ. განაგრძეთ საქმე.

6. **ისწავლეთ, რომ შეგეძლოთ სთქვათ „არა“.** თუ ამას არ ისწავლით, ხშირად აღმოჩნდებით ჩათრეული ისეთ საქმეში, რასაც საკუთარი ინიციატივითა და სურვილით არასოდეს არ მოეკიდებოდით. თქვენი თვითდისციპლინის და დროის ეკონომიის პროგრამის ნაწილი სწორედ იმისაგან უნდა შესდგებოდეს, რომ შეგეძლოთ მარცვლის — ჩენჩოსაგან, მთავარის — მეორეხარისხოვანისაგან გარჩევა.

ცხადია თუ მოგინდებათ მუხლის გამართვა, საქმისაგან გამოთიშვა, შეგიძლიათ ითამაშოთ ჩოგბურთი, კალათბურთი, წახვიდეთ საცურაოდ, ჩაუჯდეთ ჭადრაკს — ეს დამოკიდებულია თქვენს ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტერესზე, — ოღონდ თავი აარიდეთ უმიზნო ვალდებულებებს, თუ გრძნობთ, რომ სხვაგან უკეთ შეიძლება დროს გატარება.

7. გადაეჩვიეთ გაუთავებელ საუბარს ტელეფონით. აბა, ტელეფონს რა შეედრება, როგორც დროის ეკონომიის საშუალებას, როცა სასწრაფოდ გინდა გაიგო რაღაც მონაცემები, მისცე შეკვეთა, გაარკვიო რამე გაუგებრობა ანდა, უბრალოდ, დანიშნო შეხვედრის დრო და ადგილი. მაგრამ, ამავე დროს, ადამიანს ხშირად უჩნდება ტელეფონით ისე, უბრალოდ თავშესაქცევად საუბრის სურვილი. დაიცავით თავი ამ ცდუნებისაგან. წინასწარ, ვიდრე ყურმილს აიღებდეთ, განსაზღვრეთ რისთვის და ვისთან სალაპარაკოდ აიღეთ იგი, და მერე ისაუბრეთ საქმიან დონეზე.

8. გამოიმუშავეთ უბის წიგნაკის ჩვევა. ყველა, ვინც ერთხელ მაინც გამწარებულა იმის მოგონებაში, კიდევ რა ჰქონდა გასაკეთებელი, დაგვეთანხმება ამ წესის სისწორეში — ჩავიწეროთ მომავალში გასაკეთებელი საქმე, ჩავიწეროთ ტელეფონის ნომრები და სხვა. მიზანშეწონილად გაკეთებული ჩანაწერები, დადებული მაგიდაზე, სარკესთან, მანქანის საჭესთან, ე. ი. ისეთ ადგილას, სადაც თვალი ადვილად ხვდება, დაგეხმარებათ გახსოვდეთ ის წვრილმანი საქმეები, რომელიც უამისოდ უთუოდ დაგავიწყდებოდათ. ფანქარი და ქაღალდი რაღაც პრობლემის მოსაფიქრებელი დროის ეკონომიაშიც კი დაგეხმარებათ. გინდათ რაღაც ამოხსნათ? ჩაიწერეთ მონაცემები, რაც ამ საკითხზე გაგაჩნიათ და თქვენს წინ გადაიშლება ამ პრობლემის გადაჭრის მრავალი შესაძლო ვარიანტი.



გაუფრთხილდით დროს, რომელიც საჭირო ცნობების მიღებისათვის გეხარჯებათ, ამიტომ წესრიგში და ხელმისაწვდომ ადგილზე იქონიეთ ხშირად საჭირო მისამართების, ტელეფონების ნომრების ჩანაწერები.

ნუ გადატვირთავთ მეხსიერებას ისეთ რამით, რაც საჭირო არ არის.

9. დასანანი დაბრკოლებები. კეთილ მეგობრებსა და ამხანაგებს რომლებთანაც მუშაობა გიხდებათ და რომლებსაც, ცოტა არ იყოს, ზედმეტი ლაპარაკი უყვართ, პირწმინდათ შეუძლიათ ჩაშალონ თქვენი ყველა კეთილი განზრახვა — ჩაეტიოთ დროში. თქვენ შეგიძლიათ შეინარჩუნოთ მათი კეთილგანწყობა (ამავე დროს, თქვენი გრაფიკიც ), თუ მათ თავაზიანად აგრძნობინებთ, რომ ცაიტნოტში ხართ.

10. ისწავლეთ მოსმენა. თქვენ აიცილებთ სერიოზულ შეცდომებს, განმეორებებსა და გადაკეთებებს, თუ იმთავითვე შეეცდებით მიიღოთ ამომწურავი მითითებები და ცნობები. ამიტომ, ვიდრე რაიმეს გააკეთებდეთ, დაადგინეთ, სად, როდის, რა, როგორ, რატომ? თუ



რაიმეში ვერ გაერკვიოთ იკითხეთ მაშინვე.

11. შაბლონის შესახებ. ბევრი ჩვენგანი შაბლონური აზროვნების მსხვერპლი ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაცას ყოველთვის ერთი, გარკვეული მეთოდით ვაკეთებდით, მიგვაჩნია, რომ ეს არის ერთადერთი სწორი გზა. ამასთან, შესაძლებელია თითქმის ყველა სამუშაოს სრულყოფა. ოღონდ ცოტა მოფიქრებაა საჭირო. თუ თქვენ ახლა რაიმეს აკეთებთ, თანმიმდევრობით ა ბ გ დ, სცადეთ ა გ ბ დ წყობა, იქნებ საქმე დაჩქარდეს. იქნებ დაინტერესებულიყავით, სხვები როგორ ზოგავენ დროს?

12. მხედველობიდან არ გამოგრჩეთ წვრილმანი. შეგიძლიათ აიცილოთ მცირე, მაგრამ ბევრი დროის წამრთმევი შეფერხებები, თუ შეეცდებით შესაძლებლობისდაგვარად წინასწარ მიიღოთ ზომები უეცარი, მცირე კრიზისების ასაცილებლად. ეს ნიშნავს, რომ ყოველთვის ხელთ გქონდეთ თქვენ სამუშაოსა და ყოფაში ყველაზე ხშირად საჭირო საგნები საკმაო რაოდენობით, იქნება ეს სათადარიგო ნაწილები, თუ საკანცელარიო ნივთები, თქვენი ტუალეტის წვრილმანები თუ ხურდა ფული. საღამოს გადაწყვიტეთ, რას იცმევთ დილით და მოამზადეთ იგი.

13. საქმეს შეუდექით დაუყოვნებლივ. ვიდრე საქმეს შეუდგებოდნენ, წინდახედულ ადამიანებს წესრიგში მოყავთ მაგიდა, თლიან ფანქრებს, აწესრიგებენ ყველაფერს, რაც თვალში მოხვდებათ. ზოგნი კი იყურებიან ფანჯარაში, ჩაუჯდებიან კროსვორდებს, სვამენ ყავას, თვალს გადაავლებენ სპორტულ ინფორმაციებს... მერე კი უკვირთ, სად გაქრა დრო! რაკი იცით, რა უნდა გააკეთოთ, დაუყოვნებლივ შეუდექით საქმეს. აქ ყოველგვარი რჩევა ზედმეტია. საკუთარი თავის გარდა ვერავინ დაგეხმარებათ იმაში, რომ გადაეჩვიოთ საქმის დაწყებამდე ზოზინს.

14. სრულად გამოიყენეთ დრო. ყოველთვის არის იმის შესაძლებლობა, ცოტათი მაინც გავზარდოთ ჩვენი სამუშაო დრო, თუ მას სრულად



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოვიყენებთ. ეს ნიშნავს, რომ დრო, რომელიც გვეხარჯება მგზავრობაში, ცდაში, საუზმეზე — შეგვიძლია გამოვიყენოთ მომავალი საქმეების დაგეგმვისა, და იმ ჩანაწერების გადათვალიერებისათვის, რომელიც მომავალი საქმისათვის დაგვჭირდება.

15. მიაქციეთ ყურადღება, რაზე ხარჯავთ თავისუფალ დროს. თუ მეგობრებთან ბურთის თამაშისა ანდა თევზაობისას კარგად ისვენებთ, ეს შესანიშნავია! მაგრამ ნურასოდეს მოეკიდებით ამ საქმეს მარტო იმიტომ, რომ ასე აკეთებს სხვა. ჩვენ უამ-



რავ დროს დავზოგავდით, თუ უფრო მომთხოვნი ვიქნებით იმ კინოსურათებისა და ტელეგადაცემების მიმართ, რომლებსაც ვუყურებთ, იმ წიგნებისა და ჟურნალების მიმართ, რომლებსაც ვკითხულობთ.

16. შეიცვალეთ სამუშაო. თითქმის არასოდეს არ იღლება ერთბაშად მთელი სხეული. ჩვეულებრივ, ერთდროულად მხოლოდ ცალკეული ჯგუფი კუნთებისა გამოდის მწყობრიდან. თუ სამუშაოს შეიცვლით, ამით დაძლევთ დაღლილობის შეგრძნებას და მეტს გააკეთებთ. ასე მაგალითად, თუ რამდენიმე საათი დამჯდარმა იმუშავეთ და დაიქანცეთ, ახლა ისეთ საქმეს მოკიდეთ ხელი, რომლის კეთებისას დგომა ან სიარული მოგიწევთ. მთელი დღე ფეხზე ხართ? მაშინ დაჯექით და ისე აკეთეთ საქმე. თქვენ ნახავთ, რომ თქვენს ორგანიზმს გაცილებით მეტი შესძლებია, ვიდრე თქვენ გგონათ. ასეთი ცვლა მხნეობას შეგმატებთ და მუშაობისადმი მეტ ინტერესს აღგიძრავთ.

17. დაიწყეთ ადრე. თუ დილით ჩვეულებრივზე 15-20 წუთით ადრე ადგებით, მთელ დღეს თქვენს ნებაზე წარმართავთ.

18. პატივი ეცით თქვენს დროს. გამოიმუშავეთ ჩვევა, რომ გონებაში შეაფასოთ თქვენი დრო, და ამის შემდეგ სულ სხვა თვალით შეხედავთ მას.



ასეთი მიდგომა დაგეხმარებათ იმის გარკვევაშიც, საჭიროა თუ არა, რომ მაინცდამაინც თქვენ გააკეთოთ ის ზოგიერთი წვრილმანი საქმე, რაც მუშაობაში ასე ბევრ დროს გართმევთ. კაცმა რომ თქვას, ხომ არ იყიდდით ჩოგბურთის ბურთებს მხოლოდ იმისათვის, რომ ერთბაშად გადაყაროთ? აბა, რატომ უნდა მოვექცეთ ნაკლები პატივისცემით დროს, რომელიც წავა და ვეღარ დავიბრუნებთ?..

მაშ ასე, გვაქვს 18 რჩევა, რომელიც დაგვეხმარება შევძლოთ გარკვეულ დროში გაცილებით მეტის გაკეთება. მოექეცით ყურადღებით ამ რჩევებს. გამოსცადეთ მათი ქმედითობა და თქვენ სულ სხვა სამყაროში ამოჩნდებით, სამყაროში, სადაც დრო აღარ იქნება თქვენი მუდმივი მოწინააღმდეგე.

ჟურნალიდან „ნაუკა ი ჟიზნ“

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე



## უცხოური იუმორი

— სულ დაჰკარგა ხალხმა ზრდილობა, არავითარი წესრიგი, არავითარი თავაზიანობა! — ბრაზმორეული ბუზღუნებდა ბატონი ვინკლერი ტრამვაიში.

— ასე გგონიათ? მაგრამ თქვენ ხომ იმ ჭაბუკმა მაშინვე დაგითმოთ ადგილი და ამდენი ხანია ზიხართ! — შენიშნა ერთმა.

— ეს ძალიან კარგია, მაგრამ ჩემი ცოლი ხომ კვლავ ფეხზე დგას!

●

ხალხით გაჭედილ ტრამვაიში ერთმა მამაკაცმა ფეხზე მდგომ ქალს თავისი ადგილი დაუთმო, ქალმა სკამი დაიკავა და ადგილის დამთმობს შემდეგი სიტყვებით მიმართა:

— თქვენ საქსონელი უნდა იყოთ, ისინი მეტად თავაზიანები არიან, ხომ მართალს ვამბობ?

— გამოცანა გერგებათ, თქვენ კი უსათუოდ ბერლინელი იქნებით.

— როგორ მიხვდით?

— მათ მადლობის გადახდაავიწყდებათ ხოლმე.

●

ერთხელ ერთი ცნობილი გერმანელი ექიმი ბისმარკთან გამოიძახეს. ექიმმა ავადმყოფის გასინჯვისთანავე დაადგინა დიაგნოზი. ბისმარკმა მას განცვიფრებით შეხედა და ჰკითხა:

— რამდენი კაცი მოაკვდინეთ, სანამ დიაგნოზის ასე სწორად დასმას ისწავლიდით?

— გაცილებით ნაკლები, თქვენო უდიდებულესობავ, ვიდრე თქვენ, — სანამ ავად გახდებოდით.

●

კურტს სკოლაში დააგვიანდა. გაკვეთილი კარგა ხნის დაწყებული იყო. ბიჭმა წყნარად შეაღო კარი და მასწავლებელს შესვლის ნებართვა სთხოვა.

— შემოდი, რატომ დაიგვიანე? — უთხრა მასწავლებელმა:

— სულ მოლიპულია დღეს ქუჩები, — უპასუხა კურტმა, — ერთ ნაბიჯს რომ წინ გადმოვადგამდი, ორი ნაბიჯი უკან მისხლტებოდა.

— ოი-ოი, რა ყოფილა?! საინტერესოა როგორ მოაღწიე სკოლამდე? — უთხრა მასწავლებელმა.

— სულ უბრალოდ,—თქვა მან,— სკოლისაკენ ზურგით შევბრუნდი და პირი სახლისაკენ ვქენი.

გერმანულიდან თარგმნა
დ. ჩაკვეტაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხვირკეხა

ბეგლარ მუჯირიშვილი

მხატვარი ზურაბ მეძმარიაშვილი

— ცხვირკეხა მოდის, ცხვირკეხა! — დაიძახეს აქეთ-იქიდან ბავშვებმა და პირი ხევისაკენ იბრუნეს.

კაკოს მეტსახელად „ცხვირკეხას" ეძახდნენ. მას ახლა მხარდამხარ მიჰყვებოდა კოპწიად ჩაცმული, სანდომიანი შესახედაობის ტალიკა ბიჭი. კაკო ისე ლაზათიანად მოაბიჯებდა, გეგონებოდათ რაზმეულის მწყობრში მოდისო.

„ცხვირკეხას" დარცხვენილად ჩაეღიმა და გვერდით მომავალს ახედა.

გაბრუნებული ბავშვების ჟრიამული გამეორდა.

— ის ვინ არის? — იკითხა ერთმა მათგანმა.

— ვინა და, კაკოს ქალაქელი ბიძაშვილია! — უპასუხა რომელიღაცამ, — შარშანაც აქ იყო, აღარ გახსოვთ?

— ცხვირკეხა, ცხვირკეხა! — ისევ დაიძახა ვიღაცამ.

კაკო იმ ვიღაცას გაეკიდა.

ის ვიღაცა სადღაც მიიმალა.

— დადექ, რაღა!

ბიჭები ხევში ჩაიფარცხნენ.

კაკო მობრუნდა და ბიძაშვილს მიუახლოვდა.

— დაინახე? — ამოღერღა, — მომეკვლევინებიან!..

ხევთან, ალვის ხის ქვეშ, ორ ბიჭს მოემუხლა და კოჭს აგორებდნენ.

კაკო მათ ჯიქურ მიადგა, დოინჯი შემოიყარა და დარცხვენილი ხმით იკითხა:

— ვინ იყო, ვერ იცანით?

ერთმა მათგანმა თავი წამოსწია;

— არ იცი, ვინ იქნებოდა?...

— მაინც?

— ზურაბი იყო, გაღმაუბნელი ზურაბი!

— გიგლა, მართალს ამბობ? — გაუკვირდა კაკოს.

— დედას გეფიცები! — გიგლამ კაკოს გვერდით მდგომ ბიჭს ახედა. უცებ ღიმილად იქცა.

— ნუგზარ? ვეღარ გიცანი, — და ფეხზე წამოხტა, მოეხვია, — როდის ჩამოხვედი?

— წუხელ!

— გაზრდილხარ!..

— ჰო.

— როგორა ხარ?

— ისე რა...

— ნიშნები როგორი გაქვს?

— შერეული, შენ?

— მეც!..

— ნუგზარი იტყუება, — უცებ კაკო ჩაერია, — ხუთოსანია, ყველაფერს გეფიცები!

კაკომ გიგლას ხელი მოჰკიდა.

— გცალია?

— ჰო, რა გინდოდა?

— წამო, მინდორში გავიაროთ!

გიგლამ ჯიბეში შეინახა კოჭები და ნუგზარს გვერდით ამოუდგა.

ხევს არც კი გაშორებოდნენ, ბიჭების ჟრიამული რომ შემოესმათ. ძალგანახლებული ლაშქარივით მობრუნებულიყვნენ, ალვის ხესთან შედედებულიყვნენ და საიდანღაც გამომტყვრალ უბნისთავს — ზურაბს შეჰყურებდნენ.

ზურაბი ალვის ხესთან იდგა და აღიარებული სარდალივით იჭიმებოდა.

— ჰა, ზურაბ, მიდი, მიდი ბიჭო!..

— მიდი-მეთქი...

—მიდი რაღა, ნუ გეშინია!

— მიდი, რა! — ყელს უწევდნენ ზოგიერთები.

ზურაბი უფრო იფხორებოდა.

— მიდი, მიდი!

— მიდი, ნუ გეშინია! — აქეზებდნენ აქეთ-იქიდან.

— კეხა ცხვირი ჩაუნაყე!

— შენებურად მიჭეჭგვე!

— წელი აათრევინე!

— შეაშინე!

— ერთი შენებურად დაუტატანე!..

გიგლამ ზურაბისკენ გაახედა კაკო.

ზურაბმა ეს გამოწვევად მიიღო, კისერი გაიდრიკა და ადგილს მოწყდა. თანაუბნელი ბიჭები ცხვრის ფარასავით გამოჰყვნენ.

— არ შეუშინდე! — შეაგულიანა გიგლამ კაკო და ხელით უბიძგა, — მიდი, მიდი, მე და ნუგზარი აქა ვართ.

კაკო ადგილზე გაქვავდა, ხელები უკან შემოიწყო და მისკენ წამოსულ ზურაბს დაელოდა.

ზურაბი მიუახლოვდა, ხუთიოდე ნაბიჯი რომ დარჩა, შედგა.

— ცხვირკეხა, თუ ბიჭი ხარ დამეჭიდე! — ამოღერღა ხრიალით და ქუდი თავიდან მოიგლიჯა.

კაკოს ჩაეცინა.

— ნუ იცინი... შეგეშინდა? — თქვა ზურაბმა და ცალგვერდად წამოვიდა, — პატარა არ გეგონო, მუშტით რომ იმუქრები, — ზურაბი უფრო ახლოს მივიდა, ცხვირწინ აეყუდა, — დამეჭიდე, თორემ ცხვირპირს მიგინაყავ.

კაკომ ჯიბეში ჩაიყო ხელები, მშვიდი იერი მიიღო.

— ნამდვილად?

— გგონია, გეხუმრები?

— რომ წაგაქციო?

— ვინ, მე?

— ჰო, შენ, აბა ვინ?

— ჩემი წამქცევი ჯერ არ დაბადებულა.

ზურაბს ცეცხლი შეეკიდა.

— აბა, თუ ეგრეა, დადექ! — გახელდა და გაგულისდა, — მაშ, გეშინია?

— არ მეშინია! — დინჯად წარმოთქვა კაკომ და ჯიბიდან ხელები ამოიღო. წრე შეიკრა.

— განი, განიიი!

ზურაბმა ჩაჩლაჩული შარვალი აიწია, წელზე მოირგო და წრეში ტორლიალ-ტორლიალით შევიდა.

— ჰა, ცხვირკეხა, გამოდი!

კაკომაც ქუდი მოიხადა, ნუგზარს


ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელში მიაჩეჩა და წრეში ფალავანივით შევიდა.

ზურაბმა აფთრული ნახტომი გააკეთა, მეტოქის წინ აილანდა, საყელოში წაეპოტინა.

კაკოს ეჩოთირა, ძალიანად გაუსხლტა, მერე ქამარში ეცა.

ზურაბმა მკლავი დაუჭირა. თასმასავით მოუგრიხა, მხარზე უნდოდა მოეგდო, რომ გვერდულზე წამოეღო, მაგრამ კაკო მიუხვდა, მანძილი შეიმოკლა, მყისვე კაური გამოსდო და უკან გადასწია.

— ვაშააა!—იქუხა ბიჭების ერთმა ნაწილმა, წრე შეიკრა, შევიწროვდა, შესქელდა.

— ეს არ ითვლება...

— მეორე გვერდიც დაუჟეჟე, კაკო, მეორეც!..

წრე კვლავ გაფართოვდა.

კაკომ ძლივს აიცდინა გამოქანებული მეტოქე. ზურაბმა წამით სული მოითქვა, გაინაბა და კვლავ მთელი ძალით გაქანდა მოწინააღმდეგისაკენ.

კაკომ უკან დაიხია, მარჯვენა ფეხზე გამაგრდა, ორთითასავით გაიშვირა ხელები და ზურაბს შეაგება.

ზურაბი ვერ მიუდგა.

დიდხანს უტრიალეს ერმთანეთს, მძიმე ქლოშინით უვლიდნენ წრეს.

ცნობისმოყვარე ბიჭები ხან წინ მიიწევდნენ, წრეში შესტოპავდნენ, ხანაც დამშვიდებული ზღვის უძალო ტალღასავით იხევდნენ უკან.

— ახლოს მიდით, ახლოს! — ყვიროდნენ ბიჭები.

— მკლავში ეცი, ბიჭო, მკლავში! — იძახდა ერთი.

— სარმა გაუყარე, სარმა! — ჭირვეულობდა მეორე.

— არ მოგატყუოს, კაკო, ეშმაკია! — აფრთხილებდა ვიღაცა.

კაკოც ფრთხილობდა, ხელებს ასავსავებდა.

ნუგზარი ლერწმის ტოტივით ირწეოდა, ღელავდა.

ერთხანს დაპირისპირდნენ მეტოქენი. კვლავ გაიზარდა მათ შორის მანძილი...

ბიჭებს მალე მობეზრდათ ფალავნების ამაო ბღლარძუნი. წრეში ჯიქურ ისკუპა გიგლამ და ორივე ხელი მაღლა ასწია:

— დრო დავუნიშნოთ, დრო!

— დავუნიშნოთ, დავუნიშნოთ! — შეთანხმდნენ ორივეუბნელები.

ამით წახალისებულმა გიგლამ, ყველას რომ გაეგონა, ხმას აუწია:

— ცხრამეტამდე დავთვლი, თუ ვერცერთმა ვერ წააქცია, გამარჯვება კაკოს დარჩეს.

ბიჭებში ჩურჩულმა დაიარა.

ძალამოკრებილმა მოჭიდავეებმა ერთმანეთისაკენ გაიწიეს.

— ერთი, ორი, სამი...

ზურაბი კაკოს ეძგერა.

— ოთხი, ხუთი, ექვსი...

კაკო გაეშვა.

— შვიდი, რვა, ცხრა...

ისევ გაექანა.

— ათი, თერთმეტი...

ზურაბი იღლიის ქვეშ შეუვარდა, ორივე ხელი შემოხვია წელზე და ატოლასავით მოღოჭა.

— თორმეტი, ცამეტი, თოთხმეტი...

კაკო ქათამივით გაფართხალდა, არაფერი გამოუვიდა. ილეთი იხმარა: მარჯვენა ფეხი მოუკაურა და, რაც ღონე ჰქონდა, უკან გადაზნიქა.

ახლა ზურაბმა გაიბრძოლა, ხელები შეუშვა, ფეხი შინდის ჯოხივით მოეგრიხა და კაკოს ფეხი ააცდენინა.

— თხუთმეტი, თექვსმეტი, ჩვიდმეტი...

კაკომ შემთხვევით ისარგებლა, მოგრეხილ ფეხზე კაური გამოსდო და ხელახლა მოსწია.

— თვრამეტი ი.... ი...

მოსწია და მოჭრილ ხესავით გადაჩეხა.

— ცხრამეტიიი!..

და ზურაბი მიწაზე გაიშხლართა.

კაკო კვლავ დაიხარა, ზურაბს ხელი მოჰკიდა და წამოაყენა.

— მოდი, შევრიგდეთ...

ზურაბმა თავი ჩაჰქინდრა, რაღაცა ჩაილუღლუღა. სახეზე უცნაური ტკივილი გაეკლაკნა, ხმის ამოღება ვერ მოახერხა. ზურგი შეაქცია მეტოქეს და იქაურობას გაშორდა.

კაკო ერთხანს გაოგნებული იდგა, იდგა და, არ იცოდა რა ექნა. ბოლოს მხრები აიყარა და ორივეუბნელ ბიჭებს შეუერთდა.

ორიოდე წუთის შემდეგ, იქ, სადაც ბიჭების ჩოჩქოლი და ხორხოცი იდგა, ყრუ დუმილი ჩამოწვა...

# როგორ გახდა ნადკა ნადია

ნ. ხოძა

მხატვარი ნ. კუსტოვი

ეს იყო დიდი ხნის წინათ, მაგრამ ახლაც თვალწინ მიდგას ყველაფერი. ის ამბავი, რომ ლენინი ჩვენს სოფელს ეწვია, ამჟამად მთელმა მსოფლიომ იცის. ამის თაობაზე მოთხრობებიც დაიწერა და ფოტოსურათიც კი არსებობს... ამ ფოტოზე მე ლენინის უკან ვდგევარ.

ჩვენი სოფელი კაშინო წელში იმართებოდა. ჩვენ მანდ ცხრაას ოცში ელექტროსადგური ავაგეთ და ლენინი მოვიწვიეთ. წერილი მას კრემლში გავუგზავნეთ. წერილი მთელმა კომისიამ შევთხზეთ და იგი მე დღესაც სიტყვა-სიტყვით მახსოვს. აი რას ვწერდით:

„ამა ნოემბრის თოთხმეტში, სოფელ კაშინოში შედგება ელექტროგანათების გახსნა. უმორჩილესად გთხოვთ, მობრძანდეთ, გაიზიაროთ ის ჩვენი სიხარული, რომელსაც განვიცდით გლეხურ ქოხებში ელექტროგანათების გამო, რაზედაც მეფის ხელისუფლების დროს გლეხებს ფიქრიც კი არ შეეძლოთ...“

სულ მალე გავიგეთ — ლენინი მოვაო, გახსნაზე სიტყვას იტყვისო, ჩვენთან სადილობაზეც კი თანახმაო.

აი, აქ კი დაიწყო! თქვენ თვითონ იცით, როგორი იყო ათას ცხრაას ოცი წელი: მთელს ქვეყანაში სამოქალაქო ომის გრუხუნი! ნგრევა! რით გავუმასპინძლდეთ ძვირფას ბელადს? დედაკაცებმა ჭვავის პურის კვერები გამოაცხვეს. ჩვენთვის პურს იმ დროს ათასი მინარევებისაგან ვაცხობდით მაგრამ ასეთი შემთხვევისათვის ვინ რას დაინანებდა!

გამოაცხვეს სურნელოვანი ფუნთუშა პურები.

მე, როგორც კი გავიგე, ლენინი მოდისო, გავიქეცი ჩემს ქოხში და დავიძახე:

— გაინძერი, ნადკა! რასა ზიხარ!

ნადკა, ჩემი ცოლი, მეკითხება:

— რა ვქნა, რა გავაკეთო?

—როგორ თუ რა? ლენინი მოდის ჩვენთან. მოხვეტე ჰურჰლეული და კაშჩეენებთან გაიქეცი. იქ, ზეიმისთვის სადილი მზადდება. ლენინს გავუმასპინძლდებით.

წამოხტა ნადია, ეცა კალათს, ატეხა ნაირ-ნაირი თეფშების, კოვზების ჩხარა-ჩხური. მე კი მოთმინება არ მყოფნიდა. მივუგდე სკამზე გადაკიდებული კურტაკი და დავუტატანე:

— სწრაფად, სწრაფად! ნუ ზოზინობ!

ნადკა მთლად დაიბნა: მარჯვენა ხელში მძიმე კალათი ეჭირა, მარცხენათი კურტაკს იცვამდა. არაფერი არ გამოსდიოდა. მე, ცხადია, გავუბრაზდი:

— სულ გამოშტერდი! ვერა ხვდები, რომ ჯერ კურტაკი უნდა ჩაიცვა, კალათს კი მერე მოკიდო ხელი.

ჩაიცვა ნადკამ კურტაკი, აიღო კალათი და გავუდექით გზას. მე წინ მივდივარ, ის ჩემს უკან მოჩანჩალებს. მე კვლავ შენიშვნას ვაძლევ:

— რა მკვდარივით მოათრევ! შენ გეუბნებიან — გაინძერი!

მივადექით კაშჩეენებს. შევედი ქოხში, ციოდა და კარი მაშინვე მივაჯახუნე. ნადკას კი ამ დროს საფეხურებზე ფეხი დაცურებია და დაცემულა. გამოვედი უკანვე — სად დაიკარგა-მეთქი. ის კი უკვე ფეხზე დგას, სინჯავს ჰურჰელს, მთელია ისევ თუ არაო. მეც, რასაკვირველია, მაინტერესებს, რა დღეშია თეფშები.

— არც ერთი არ გატეხილა, — მამშვიდებს ნადკა, ოღონდ, მე მაგრა დავიშავე მუხლი.

— ჰურჰელი მთელია-მაშასადამე, ყველაფერი რიგზეა, — ვთქვი და კვლავ შევბრუნდი სახლში. ნადკაც შემომყვა. დაიწყო კურტაკის გახდა, მაგრამ დუგმებს ვერაფერი მოუხერხა. ჩანს, თითები ყინვისაგან გაშეშებია, არ ემორჩილებიან. გათოშვია, როცა კალათი შემოჰქონდა. მე ვბრაზდები, ვუყვირი:

— არ შეგიძლია მალე გაიხადო? საღამომდე ასე უნდა იცოდვილო?

ფაციფუცში დრო სწრაფად გაფრინდა. მოხედვაც ვერ მოვასწარით, რომ საიდანღაც ავტომობილის თუხთუხი მოისმა. აშკარაა ამხანაგი ლენინი მოვიდა! უეცრად ყველა, ვინც ქოხებში იხსდა, ქუჩაში გამოცვივდა. ყველას უნდა თავისი თვალით ნახოს მშრომელი ხალხის ბელადი. ჩემი ნადკაც პარმალთან ერთ ადგილს ტკეპნის. სიჩქარეში კურტაკის წამოსხმა დავიწყებია, მხოლოდ შალი მოუხურავს.

მოვიდა მანქანა სახლთან, გაჩერდა. ჩვენ მაშინვე ვიცანით ლენინი. სიხარულისაგან ავღელდით ყველანი:

— ლენინი!

— ილიჩი მობრძანდა!

— პატივი გვცა!

გადმოვიდა ვლადიმერ ილიჩი ავტომობილიდან, მაგრამ კარს არ ხურავს. ამ დროს, ვხედავთ, ნადეჟდა კონსტანტინეს ასულიც, მისი მეუღლე, გადმოდის მანქანიდან. ილიჩმა კრუპსკაიას ხელი გაუწოდა და წყნარად უთხრა:

— ფრთხილად, ნადია... გთხოვ, ფრთხილად...

ჩემმა დედაკაცმა თავშალი გადაიწია ყურიდან, რომ ლენინის არც ერთი სიტყვა არ გამოპარვოდა. ილიჩი კი ხალხისკენ მოტრიალდა და გულითადად თქვა:

— მოგილოცავთ, ამხანაგო გლეხებო! ამიერიდან თქვენმა სოფელმა თავი დააღწია სიბნელეს. თქვენ იცხოვრებთ მარად სინათლეში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგვახარა ძვირფასი ლენინის სიტყვებმა. მოვიპატიჟეთ ილიჩი სახლში. რა თქმა უნდა, ნადეჟდა კონსტანტინეს ასულიც მივიპატიჟეთ.

მიადგნენ პარმალს ილიჩი და კრუპსკაია. ლენინმა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს კვლავ გაუწოდა ხელი, რომ ფეხი არ დაცურებოდა, საფეხურები ყინულით იყო მოლიპული. და ისევ გვესმის, როგორ ეუბნება:

—ფრთხილად, ნადია, ფრთხილად...

მე ლენინს კარი გავუღე, მან პირველად ნადეჟდა კონსტანტინეს ასული გაატარა, შემდეგ კი თვითონ გადააბიჯა ზღურბლს.

ამასობაში მეც მოვისაზრე, პატივისცემა გამომეხატა ჩვენი სტუმრისადმი:

— ნება მომეცით, — მივმართე ილიჩს, — დაგეხმაროთ გახდაში.

მაგრამ მან ხელით შემაჩერა:

— გმადლობთ, ამხანაგო, მე თვითონ... მიჩვეული ვარ...

თქვა და სწრაფად მიტრიალდა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულისაკენ, მიეხმარა ქურქის გახდაში, ქუდი გაუბერტყა, პატარა სკამი მიუჩოჩა, რომ უფრო იოლად გაეხადა კალოშები. მერე თვითონაც გაიხადა.

მაშინ ჩვენ, ყველამ ერთად და ცალ-ცალკე დავუწყეთ ძვირფას სტუმრებს შეპატიჟება ოთახში, სადაც სადღესასწაულო სუფრა იყო გაშლილი.

— გასინჯეთ ჩვენი უბრალო საჭმელ-სასმელი, ნუ დაგვძრახავთ ღარიბული სუფრისათვის.

დასხდნენ ლენინი და კრუპსკაია ერთმანეთის გვერდით. ეკითხება ლენინი:

— რა შემოგთავაზო, ნადია: ლაბა თუ ხორცი?

— ხორცის ნაჭერი, გეთაყვა. ოღონდ, პატარა... — პასუხობს კრუპსკაია.

მიართვა ვლადიმერ ილიას ძემ თავის მეუღლეს თეფში და პურისკენ გაიწოდა ხელი.

— ოჰო! — თქვა მან. — თქვენ ყველაზე საუკეთესო ჭვავის პური გქონიათ! ჩვენს ახლანდელ ვითარებაში ეს ზღაპრული საჭმელია. გასინჯე, ნადია, ჭვავის პური თავისი ნამდვილი სახით!..

თუ როგორ წარიმართა შეხვედრა ამის მერე — ეს მთელმა ქვეყანამ იცის. მაგრამ მე გიამბობთ იმაზე, რაც არ არის ცნობილი, რის შესახებაც არც გაზეთებში და არც წიგნებში არაფერი წერია.

როცა ლენინი წავიდა, ჩვენც დაშლა დავიწყეთ. ყველა გახარებული, კმაყოფილი იყო. მე ჩემს ცოლს ვუთხარი:

— წამოდი, ნადკა! ნუ ზოზინობ!

ნადკა კი ზის, ჩაფიქრებული, განზე იყურება, თითქოს არ ესმოდეს ჩემი. მაშინ მე ხმამაღლა დავუყვირე:

—გესმის თუ არა? ადექი, ნადკა!

მან თვალი ამავლ-ჩამავლო და ძლივს გასაგონად მითხრა:

— ნუ მეძახი ნადკას! არა მსურს! არ მინდა!

წყნარად კი თქვა, მაგრამ ყველამ გაიგონა. მე ვდგევარ და ვერაფერი ვერ გამიგია.

ის კი თავისას განაგრძობს:

— მე ნადკა არა ვარ!

— ესე იგი, როგორ? — ვეკითხები, — შენ ნადკა არა ხარ? მაშ ვინა ხარ?

— ნადეჟდა... ნადია...

— მეც ხომ ვამბობ — ნადკა-მეთქი...

— არ მინდა, ნადკა ვიყო! ნადეჟდა... ნადია უნდა დამიძახო...

რამდენიმე მამაკაცმა, ვინც ჯერ კიდევ ქოხში იყო, დამცინავად ჩაიხითხითა. გული მომივიდა.



— ბურჟუაზიული ჩმახვაა! — ვთქვი მე. — ჩვენთვის არაფრის მაქნისია!

კაცებმა, ცხადია, მხარი დამიჭირეს;

— მართლაც და, რა მოეპრიანა! შენ, ნადკა, საიდან მოიგონე ეს სისულელე?

წამოდგა ჩემი დედაკაცი, წარბები შეჰყარა, თვალები ნემსივით გამიყარა თვალში:

გაიგონე თუ არა, რას ეძახდა ლენინი თავის ცოლს?

— მაშ როგორ?

ეროვნული ბიბლიოთეკა



### ჯაზ-ორკესტრი და... ძროხები

ამას წინათ ბრაიენ კილერის ჯაზ-ორკესტრმა ლონდონის გარეუბანში, ღია ცის ქვეშ, კონცერტი გამართა. იქვე შორიახლო ძროხები ბალახობდნენ. როგორც კი დაუკ-



რა ორკესტრმა, ხუთი ძროხა მყისვე წაიქცა და ფეხები გაჭიმა. ვეტერინარი ექიმის დასკვნით, ძროხების სიკვდილი გამოიწვია უეცარი შიშისაგან გულის გახეთქვამ.

### ორიგინალური მუზეუმი

ციურიხის ზოოლოგიური ბაღის დირექტორმა ჰენცინგერმა მეტად ორიგინალური მუზეუმი მოაწყო. ამ მუზეუმში გამოფენილია ის საგნები, რომლებსაც ზოოპარკის



დამთვალიერებლები ცხოველებს შეუგდებენ ხოლმე გალიებში. „ექსპონატთა“ შორის არის საპუდრეები, ავტოკალმები, წიგნები, საყურეები, ფანქრები, ჯიბის ფარნები, ფეხსაცმელები... მუზეუმში სულ 627 საგანია ექსპონირებული.

### ახე იზიდავენ ხელის მომწერლებს

წლის ბოლოს ერთ-ერთმა ამერიკულმა გაზეთმა თავის ფურცლებზე ასეთი განცხადება მოათავსა:

„ჩვენი გაზეთის პატივცემული ხელისმომწერლები ყოველ სამ თვეში მიიღებენ რომელიმე განთქმული განგსტერის ავტოგრაფს, ხოლო საახალწლოდ — საზაფხულო კოსტუმსა და შლიაპას. ჩვენი რედაქცია, თავისი ხარჯით, ყოველ თვეში გაკრეჭავს და გაპარსავს ხელისმომწერლებს, მათი შვილებისათვის კი ყვავილის საწინააღმდეგო აცრას ჩაატარებს.

ვინც ერთბაშად 8 წლით გამოიწერს ჩვენს გაზეთს, სიკვდილის შემდეგ მის შესახებ გამოვაქვეყნებთ დიდებულ ნეკროლოგს, რედაქციის ხარჯით ვუყიდით კუბოს და ერთ დუჟინ ვერცხლის კოვზს“.

### საინტერესო ნაპოვნი

ანტონ მონტე, ფრანგი მექანიკოსი, თავისი სახლის სხვენს ალაგებდა. მოულოდნელად, ათასნაირ ძველმანებში ძველ სურათს წააწყდა, რომელიც, ვინ იცის, როდის შეაგდეს სხვენში. ყურადღებით რომ დაათვალიერეს ნახატი, ანტოანმა გაოცებისაგან თვალები დააჭყიტა: სურათზე წარწერილი იყო მხატვრის გვარი-სახელი — „ედუარდ

---

— ნადიას! ნადიას ეძახდა! შენ კი მარტო ეს იცი: ნადკა და ნადკა!

ამ დროს სხვა დედაკაცებიც, ვინც ჯერ კიდევ იქვე იყვნენ, ერთხმად აქაქანდნენ:

— სწორია! ჩვენი კაცებისაგან წესიერ სიტყვას ვერ გაიგონებ! მარტო ესღა გესმის: დუნკა! პაშკა! ვარკა! ლენინი კი როგორი პატივისცემით, სიყვარულით ეუბნებოდა: ნადია, ფრთხილად, გთხოვ, ფრთხილად...

და დაიწყეს ყოველი წვრილმანის გახსენება:

— ხელმკლავი გაუკეთა, რომ ფეხი არ დაცურებოდა.

— ქოხში პირველად ცოლი შეუშვა...

— ქურქის გახდაში მიეხმარა.

ხოლო ნადკა პირდაპირ შეტევაზე გადმოდის:

— არ მოგითმენ უხეშობას ამიერიდან! თუ შენ ბოლშევიკი ხარ, ყველაფერი ისე უნდა გააკეთო, როგორც მოგეთხოვება! არა და — მორჩა — ლენინს მივწერ.

სხვა დედაკაცებიც აყაყანდნენ:

— ყველაფერს მივწერთ ლენინს, მივწერთ როგორებიცა ხართ!

— მეფის დრო როდია — ცოლებს უხეშად უყვიროდეთ!

ერთი სიტყვით, დედაკაცების ნამდვილი ჯანყი იყო! მე მოვერიე ჩემს თავს და ცოლს ვუთხარი:

— წავიდეთ აქედან, შინ ვილაპარაკოთ...

ის კი:

— რაო, მარტო კაბით წამოვიდე ამ სიცივეში?

ისევ დავაჭყიტე თვალები.

— რატომ კაბით? აგერ შენი კურტაკი!

— ჰოდა, ჩამაცვი. ესე იგი, მომეხმარე...

ერთიან ავდუღდი. მაგრამ გამახსენდა, როგორ ეხმარებოდა ლენინი თავის მეუღლეს და.. თავი შევიკავე. მაგრამ, როგორ მოვიქცე? ოცდაათი წლისა გავხდი და ჯერ დედაკაცისთვის ქურქი არ ჩამიცმევია — დამცინებენ-მეთქი მამაკაცები. მაგრამ ისევ თვალწინ დამიდგა: ლენინი კრუპსკაიას ქურქს აცმევს. ჩამოვხსენი ლურსმნიდან კურტაკი და მივედი ნადეჟდასთან, ის კი ზურგით შემობრუნდა და მიცდიდა, როდის ჩავაცმევდი. და, იცით, რა ვქენი? ჩავაცვი! ჩავაცვი! თვითონ კი სირცხვილისაგან ვიწვოდი. ყველაფერი მეწვოდა! ლოყები! კისერი! შეგეძლოთ ციგარა მოგეკიდებინათ! მაინც დავთრგუნე ჩემში წეეული მეფისდროინდელი გადმონაშთი. ვფიქრობდი, თვითონ ილიჩი ყველას თვალწინ ასე მოიქცა და, რა სასირცხვილოა ჩემთვის, მეც ასე გავაკეთო-მეთქი?!

აბა, მეტი რაღა გიამბოთ? არ მახსოვს, რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ცოლისთვის ნადკა არ დამიძახნია. ნადიას ვეძახი. სხვა მხრივაც ასეა... სახლიდან რომ გამოვდივართ, პალტოს ვაცმევ, წინ ვუშვებ და ასე შემდეგ...

ჩვენი პარტიის მდივანს უნდოდა ლენინისთვის მიეწერა ყოველივე ამაზე, ჩემზე ესე იგი. მაგრამ ნადიამ არა ქნა. „არაა საჭირო, — თქვა მან — დაე ლენინს ეგონოს, რომ ჩემი ქმარი მუდამ ასეთი კარგი იყო“.

თარგმნა ს. ბეჩოიძემ.

მანე“. სპეციალისტებმა იოლად დაამტკიცეს, რომ სურათის ავტორი მართლაც ედუარდ მანეა—გასული საუკუნის გამოჩენილი ფერმწერი. ნაპოვნ ნახატზე გამოსახულია ციკლ „წელიწადის დროების“ უკანასკნელი ნაწილი „ზაფხული“.

### რამდენი ღერი თმა აქვს ადამიანს თავზე?

ფიქრობენ, რომ ადამიანს თავზე 160-200 ათასი თმის ღერი აქვს. ამ მოსაზრების სისწორეში დაეჭვდა ერთი იუგოსლაველი — რაიკო დოსიჩი. გადაწყვიტა თვითონ დაეთვალა თმის ღერები თავისი მეგობრის თავზე. 74 დღის განმავლობაში მან 285.560 თმის ღერი დაითვალა.

### იაპონელები და სამხრეთ ამერიკა

ლათინური ამერიკის მეცნიერები ფიქრობენ რომ დაახლოებით სამი ათასი წლის წინ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ახლანდელი ეკვადორის მიდამოებში არსებობდნენ პატარ-პატარა კოლონიები იაპონელებისა, რომლებმაც წყნარი ოკეანე გადაცურეს სათევზაო ნავებით. როგორც ჩანს, სწორედ აზიიდან მოსულებმა ასწავლეს ადგილობრივ მკვიდრთ მეთუნეობის ხელოვნება. ქალაქ ვალდივიზიის მახლობლად აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, რომლებზედაც კარგად არის შემონახული თევზისებური მოყვანილობის სპეციფიკური ორნამენტი. ასეთი ტიპის ორნამენტი არქეოლოგებს სამხრეთ ამერიკაში სხვაგან არსად არ შეხვედრიათ, სამაგიეროდ, იგი გავრცელებული იყო ძველ იაპონიაში, განსაკუთრებით — კუნძულ ხონდოზე. თუ რა ბედი ეწიათ შემდგომში იმ დროის იაპონურ კოლონიებს, ჯერჯერობით არავინ არ იცის.

### არქეოლოგები წყალქვეშა ნავში

ფრანგმა მეცნიერებმა შექმნეს პატარა წყალქვეშა ნავი, რომელიც განკუთვნილია ზღვის ფსკერზე არქეოლოგიური სამუშაოებისათვის. ნავს აქვს ფართო ილუმინატორები. ილუმინატორების თავზე მძლავრი სინათლის წყაროებია მოთავსებული. პირველივე წყალქვეშა რეისის დროს, ბოსფორის სრუტეში, აღმოჩენილი იქნა ძველი საბერძნეთის გემი — ორი ათასი წლის წინ ჩაძირული.

# სიდამონ-ერისთავი



ავტოპორტრეტი.

ჩვენი სალონი

იმ ქართველ მხატვართა შორის, რომელთაც ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე იდეს თავს ახალი ხელოვნების გაფურჩქვნისათვის ბრძოლა, ვ. სიდამონ-ერისთავს ერთი საპატიო ადგილთაგანი ეკუთვნის.

ვალერიან ვლადიმერის ძე სიდამონ-ერისთავი დაიბადა სოფელ ყვარელში, 1889 წლის 1-ლ თებერვალს, ილია ჭავჭავაძის მამულში, სადაც იმჟამად მუშაობდა ვალერიანის მამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ანა-ბანა“, როგორც ძველად იტყოდნენ, ვალერიანმა ოჯახში შეისწავლა, შემდეგ კი საცხენისის პანსიონში სწავლობდა. წამოიჩიტა თუ არა, თბილისის ქართულ გიმნაზიაში შეიყვანეს. მხატვრობისადმი მიდრეკილება თავიდანვე გამოიჩინა. გიმნაზიაში მას ხატვას ასწავლიდა ცნობილი ქართველი მხატვარი, ქართული ეროვნული მხატვრობის დიდი ქომაგი — ალექსანდრე მრევლიშვილი. ერთდროულად ვალერიანი ბ. ფოგელის სტუდიაშიც სწავლობდა.

1907 წელს იგი რუსეთში გაემგზავრა და სასწავლებლად შევიდა მოსკოვის ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების სკოლაში. მაშინ იქ ასწავლიდნენ ცნობილი რუსი მხატვრები: სეროვი, კოროვინი, ვასნეცოვი, არხიპოვი და სხვანი. აქ სიდამონ-ერისთავი სწავლობდა 1914 წლამდე. 1915 წლიდან, ხელმოკლეობის გამო, იგი სამშობლოში დაბრუნდა და პირველ დღიდანვე აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში: თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, აკეთებდა ილუსტრაციებს, ხატავდა სურათებს, ასწავლიდა ახალგაზრდებს. პირველი იმპერიალისტური ომის წლებში ვალერიანმა იმოგზაურა ოსმალთა მიერ ადრე მიტაცებულ საქართველოს მიწა-წყალზე და შეასრულა არაერთი სურათი და ჩანახატი ძეგლებისა თუ ჯარისკაცთა ცხოვრების სცენებისა, და სხვ.

1919 წელს ვალერიანი თბილისში დაბრუნდა. 1919-1924 წლებში იგი რუსთაველის სახელობის თეატრის მთავარ მხატვრად მუშაობს; მუშაობდა ოპერისა და ბალეტის თეატრში, კოტე მარჯანიშვილის თეატრისა და საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს სსრ პავილიონის მთავარ მხატვრად. 1938 წელს აირჩიეს თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის კათედრის პროფესორად. აქ მისი ხელმძღვანელობით არაერთი ქართველი მხატვარი აღიზარდა.



ქალი პირბადით

ვ. სიდამონ-ერისთავს წარმატებითი მოღვაწეობისათვის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიანიჭეს და შრომის წითელი ორდენით დააჯილდოვეს.

სტუდენტობისას, სამშობლოში არდადეგებზე ჩამოსულს, ჭიათურისა და ოზურგეთის თეატრებში გაუფორმებია ცნობილი ქართველი რეჟისორის ალ. წუწუნავას დადგმული სპექტაკლები.

სამშობლოში დაბრუნებული მხატვარი დიდად შთააგონა კახეთის სიძველეებმა და ჩვენი ქვეყნის გმირულმა ისტორიამ. იგი დიდი სიყვარულით ასახავს საქართვე-



კრწანისის ბრძოლა

ლოს წარსულსა და აწმყოს, კერძოდ, კახეთის ცხოვრებას; ამ პერიოდის მისი სურათები გამსჭვალულია რომანტიკითა და პოეტური შთაგონებით.

ვ. სიდამონ-ერისთავი მეტად ნაყოფიერად მუშაობდა საპორტრეტო ჟანრშიც. მისი „თამარ მეფე“, „ჭაბუკი რუსთაველი“, „უცნობი ქალის პორტრეტი“, „მანდილოსანი პირბადით“, „ნიკულინის პორტრეტი“, „კომპოზიტორი სულხანიშვილი“, „დავით კლდიაშვილი“, „ივანე ჯავახიშვილი“ და სხვა პორტრეტები ქართული საპორტრეტო ჟანრის მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია. წარმატებით მუშაობდა მხატვარი პეიზაჟის ჟანრში და წიგნის დასურათებაზეც, მაგრამ იგი უპირატესად მაინც დაზგური და თეატრალური ფერწერის ოსტატი იყო. ჟანრული სურათის დარგში მის ფერწერას, კომპოზიციის კარგ გრძნობასა და ბრწყინვალე ნახატთან ერთად, ახასიათებს ფართო და ქღერადი ფერწერულობაც.

მხატვრის წერის ტექნიკა რამდენადმე დავალებულია რუსული ფერწერის ტრადიციებით. ბოლო პერიოდში იგი უპირატესობას ფერის თავისთავადობას, მისი ჟღერის ძალას აძლევს. ასეთი მიდგომა შედეგია მოვლენათა იმ დეკორატიული ხილვისა, რაც ამ დროისათვის უმუშავდება მხატვარს. შესაძლებელია, აქ გარკვეულ როლს თამაშობდა თეატრში მუშაობა.

განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის სიდამონ-ერისთავს თეატრალური მხატვრობის დარგში. 1920 წელს მან შექმნა დეკორაციები ა. იუჟინ-სუმბათაშვილის „ღალატისათვის“. რაც გამოყენებული იყო 1921 წლის დადგმაშიაც.

ვალერიანის მოღვაწეობა ამ სფეროში პირდაპირ კავშირშია ქართული თეატრის დიდი რეფორმატორისა და ახალი სასცენო ცხოვრების კანონმდებლის კოტე მარჯანიშვილის მოღვაწეობასთან. სიდამონ-ერისთავი, დაწყებული „ცხვრის-წყაროს“ პირველ დადგმით (1922 წ.), ძირითადად დრამატულ თეატრებსა და ოპერაში მუშაობდა. გააფორმა „დაისის“ მარჯანიშვილისეული პირველი დადგმა (1923). „შოთა რუსთაველი“ (1924). „მზის დაბნელება საქართველოში„ (1936). „ლეონგრინი“ (1924-25). „ბოშათა ბარონი“ (1923). „ღალატი“ (1921). „ესმერალდა“. (1936). „კარმენი“ (1940). „თავადი იგორი“



დავით კლდიაშვილის პორტრეტი



თამარ მეფე

(1924), „სამშობლო“ (1942), „ლატავრა“ (1937),

იგი არის ქართული საოპერო დეკორატიული ფერწერისა და თეატრალური ფერწერის არა მარტო ფუძის ჩამდგმელი, არამედ მათი ჩამომყალიბებელი და განმავითარებელიც; დიდია მისი ღვაწლი კინოს დეკორაციულ ხელოვნებაშიც.

ვ. სიდამონ-ერისთავის მოღვაწეობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს სამხატვრო აკადემიაში მუშაობა. მან აღზარდა არაერთი ცნობილი ქართველი ფერმწერი.

ვ. სიდამონ-ერისთავის ცხოვრება ბრწყინვალე მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურებოდეს მხატვარი სამშობლოს, როგორ უნდა იცავდეს მშობლიური ხელოვნების სიწმინდეს, როგორ უნდა იბრძოდეს რეალიზმის ტრადიციების გაღრმავებისა და განვითარებისათვის.

ვალერიან სიდამონ-ერისთავი გარდაიცვალა 1943 წლის 20 ივნისს. დაკრძალულია ვერის ძველ სასაფლაოზე.

შალვა კვასხვაძე,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ყურადღება!

**ხულ უფრო გამალებით სცემს ჩვენი ქალაქის პულსი, იზრდება მოსახლეობა, ქუჩები, გზაჯვარედინები სავსეა ათასგვარი ტრანსპორტით, დიდი სიფრთხილე და ყურადღება მართებს ყველას, განსაკუთრებით კი თქვენ, ბავშვებო, რათა სიცოცხლე საფრთხეში არ ჩაიგდოთ.**

**ყურადღებით წაიკითხეთ საქ. ავტოინსპექციის ქვედანაყოფის უფროსის, მილიციის მაიორ შალვა ხონელიძის წერილი და ნათლად დაინახავთ რამდენ საჭიროა მოძრაობის წესების ცოდნა.**

# ᲐᲠ ᲓᲐᲕᲘᲯᲝᲑᲘᲗ
## რომ მივხვდეთ...

ეს მოხდა ქალაქ თბილისში, 1966 წლის 31 იანვარს. დღის პირველი საათი იყო. ხეთაგუროვის ქუჩაზე ტრამვაი მიჰქროდა. 33-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე სერგო რომანოვი ქუჩისპირას ტროტუარზე იდგა, უცებ სერგო ადგილიდან მოსწყდა და ტრამვაის დაედევნა. უნდოდა შეხტომოდა. მისწვდა კიდეც უკანა ვაგონის წინა ბაქნის სახელურს, მაგრამ თავი ველარ შეიკავა ფეხი დაუცდა და... ატყდა ვაგონში ერთი ვაი-ვიში, ვატმანმა ტრამვაი დაამუხრუჭა, შემთხვევის ადგილზე ხალხი შეიკრიბა... შედეგი სავალალო აღმოჩნდა... სერგომ ფეხი დაკარგა. მსგავსი შემთხვევები, სამწუხაროდ არც თუ იშვიათია...

საქართველოში ტრანსპორტის მოძრაობასთან დაკავშირებით **1966 წელს მომხდარ უბედურ შემთხვევათა რიცხვის 9 პროცენტი ბავშვებზე მოდის...** ეს ციფრი, რათქმაუნდა, დამაფიქრებელია. იგი იმაზე მიუთითებს, რომ ხშირად სწორედ ბავშვები არ იცავენ ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის ელემენტარულ წესებს.

ხდება ხოლმე, როცა ბავშვები მიმავალ ტრანსპორტს უეცრად წინ **გადაურბენენ,** მძღოლი ველარ ახერხებს დამუხრუჭებას და ცელქობა ონავრებს ძვირად უჯდებათ.

შარშან 12 სექტემბერს, ქალაქ ტყიბულში, მაიაკოვსკის ქუჩაზე მოტოციკლს მართავდა მოქ. პ. გაგნიძე, მე-4 საშუალო სკოლის მესამე კლასის მოსწავლე ბადრი ლანჩავა ტროტუარზე არხეინად მოდიოდა. უცებ ბადრიმ მოინდომა მანქანისათვის წინ გადაერბინა. მძღოლმა ვერ შეძლო მოტოციკლის შეჩერება და ბავშვს დაეჯახა. ბადრის სხეული დაუზიანდა. ასეთივე ბედი ეწია ზუგდიდის მე-9 საშუალო სკოლის პირველკლასელ ელგუჯა ვაძაწეს. ელგუჯამ გადაურბინა ავტომანქანა „ვოლგას“. მანქანა დაეჯახა და ძლივს გადარჩა.

**ხშირად ბავშვები ტრანსპორტის კარებში გაჩერდებიან, ზოგჯერ სახელურს ჩამოეკიდებიან.** მიუხედავად მძღოლისა და კონდუქტორის არაერთგზის გაფრთხილებისა ტრანსპორტში მაინც არ შედიან... ზოგჯერ მძღოლიც ვერ იჩენს სათანადო პრინციპულობას და... შემდეგ, როგორც იტყვიან, „გვიანღაა თავში ცემანი“...

1966 წლის 11 სექტემბერს ქალაქ თბილისში, მერკვილაძის ქუჩაზე, სამარშრუტო ავტობუსის უკანა — კარებს ჩამოეკიდა 39-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე ვაჟა თოიძე, ავტობუსმა გვერდი აუქცია ქუჩაში მდგარ ავტომანქანას. ვაჟა ავტომანქანის ძარას წამოედო, ჩამოვარდა და დაშავდა.

ხშირად ხდება ხოლმე, როცა ბავშვები ველოსიპედით სწორედ **ისეთ ადგილებში დასეირნობენ, სადაც ქუჩა სხვა სახის ტრანსპორტითაა გადატვირთული,** ამასთან არ იცავენ მოძრაობის ელემენტარულ წესებს და გასეირნება მარცხით მთავრდება. თბილისის მე-14 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე ოთარ სამხარაძე ქუჩაში ველოსიპედით მიჰქროდა. მან არ დაიცვა მოძრაობის ელემენტალური წესები. ინდუსტრიალიზაციისა და ელმავლის ქუჩების გზაჯვარედინზე ველოსიპედი არ შეაჩერა. პირიქით, სწორედ გზაჯვარედინზე მარცხნივ მოუხვია. ველოსიპედის მართვა ველარ შეძლო და ავტომანქანის უკანა ბორბალს დაეჯახა. ასევე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოუვიდა ქალაქ ბათუმში მცხოვრებ პირველკლასელ გ. რისტოვსკის: ავტობუსის მძღოლმა დროზე შენიშნა ველოსიპედით მოსეირნე ბავშვი და ავტობუსი გააჩერა, მაგრამ ბავშვი დაიბნა და გაჩერებულ ავტობუსს დაეჯახა. კიდევ კარგი, რომ ავტობუსის მძღოლი უაღრესად ყურადღებიანი აღმოჩნდა, თორემ ვინ იცის ამ შემთხვევას რა შედეგი მოჰყვებოდა.

მსგავსი შემთხვევები, ძირითადად გზებსა და ქუჩებზე არასწორი გადასვლის, გაჩერებული ტრანსპორტისათვის არასწორი შემოვლით, ქუჩის ტრანსპორტის სავალ ადგილებში თამაშის დროს ხდება, მოძრავი ტრანსპორტიდან ხელის გამოყოფასაც შეიძლება მოჰყვეს მარცხი.



დღითიდღე იზრდება ტრანსპორტის რიცხვი ჩვენში. დღითიდღე მრავლდება სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანები, ავტობუსები და მოტოციკლები, ტროლეიბუსები და ტრამვაი... ბუნებრივია, სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობის ზრდამ გამოიწვია ქალაქებისა და სოფლების ქუჩებზე და გზებზე მოძრაობის ინტენსიური ზრდა. ასეთ პირობებში სულ უფრო და უფრო აუცილებელი ხდება ყველა მოქალაქემ, თვითეულმა ბავშვმა კარგად შეისწავლოს და დაიცვას ქუჩაში მოძრაობის ელემენტარული წესები, იხელმძღვანელოს საგზაო ნიშნების მაჩვენებლებით, შუქნიშნების სიგნალებით, მინიშვნის ხაზებით, აგრეთვე მილიციის მუშაკების სათანადო მითითებით.

საქართველოს — სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო საავტომობილო ინსპექცია ეძებს ახალ ფორმებსა და მეთოდებს, რათა მოქალაქეთა დახმარებით, მიაღწიოს მოძრაობის წესების დარღვევათა სრულ აღმოფხვრას.

უკვე გამოცემულია სხვადასხვა სახის მხატვრული პლაკატები, სადაც ნაჩვენებია ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის წესების დარღვევის უხეში შემთხვევები, მითითებულია, თუ როგორ უნდა მოიქცეს ბავშვი ქუჩაში სიარულის დროს, პლაკატები გაკრულია თვალსაჩინო ადგილებში.

რესპუბლიკის ბევრ სკოლაში შექმნილია სპეციალური კუთხეები, სადაც გამოკრულია მოძრაობის წესების დაცვის ნიშნები, სათანადო განმარტებებით, ხშირად ეწყობა რადიოგადაცემები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. კვლავ გამოვა ამ საკითხებისადმი მიძღვნილი ლიტერატურა.

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ბავშვებისათვის მოწყობილია მოედანი ცეროდენები აქ პატარა მანქანებით სეირნობენ, ერთობიან... ქალაქ თბილისის სახელმწიფო-საავტომობილო ინსპექციამ ეს მოედანი მოაწყო ნამდვილი ტრანსპორტის მოძრაობის შესაბამისად: ჩამოკიდეს შუქნიშნები, დახაზეს მინიშვნის ხაზები, საგზაო ნიშნები და მაჩვენებლები და სხვ. პიონერების ვალია თვითონაც შეისწავლონ და დაიცვან მოძრაობის წესები, თავიანთ პატარა და-ძმებს აუხსნან და შეასწავლონ, პრაქტიკულად შეასრულებინონ მოძრაობის ელემენტარული წესები, რათა ამთავითვე გამოიმუშაონ სათანადო ჩვევები.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება, რომლის შესაბამისად რესპუბლიკის სკოლებში მოეწყობა ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის წესების სავალდებულო სწავლება.

ბავშვებო! კარგად შეისწავლეთ და ზუსტად დაიცავით ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის ელემენტარული წესები, ნუ ჩააგდებთ საფრთხეში თქვენს სიცოცხლეს!



## თხუნელა

ფოთლოვანი და წიწვიანი ტყის ზონაში, ბაღებში, ბოსტნებში, მდინარის ნაპირებთან გვხვდება ძვირფასი ბეწვის მქონე ცხოველი — თხუნელა. თხუნელას ხხეული მიწაში საცხოვრებლად არის მოხერხებული. ის ზედაპირზე მხოლოდ ღამით ამოდის, იშვიათად — დღისით.

ბუნაგი თხუნელას კარგად აქვს მოწყობილი, — პატარა ბორცვის ქვეშ იკეთებს ხავსით და ფოთლებით მოფენილ საწოლს.

თხუნელა წელიწადში ერთხელ მრავლდება. შობს 5-9 შვილს, იკვებება მწერებით, თაგვებით, ბაყაყებით, ჭიაყელებით და სხვ. რითაც სარგებლობა მოაქვს სოფლის მეურნეობისათვის.

თხუნელა დიდი რაოდენობითაა დასავლეთ საქართველოში.

წელიწადში სამჯერ იცვლის ბეწვს: გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე. მისი ბეწვის ფერი დამოკიდებულია ნიადაგის შემადგენლობაზე: მოთიხნარო ნიადაგში მოშავო ფერი აქვს, ქვიშნარში — შავ-მოლურჯო, აფრიკაში კი გვხვდება ოქროსფერი თხუნელაც.

თხუნელას რბილი და ხავერდოვანი ბეწვი ძვირად ფასობს. მისგან ამზადებენ ქურქებს, ქუდებს, საყელოებს და სხვ.

ს. ელიზბარაშვილი.



# ჩვენი წიგნები

## რა გქვია შენ?

(ზ. ჭუმბურიძე)

წიგნის შესავალში ავტორი წერს: „1968 წელს „ნაკადულმა“ გამოსცა ჩემი პატარა წიგნი „როგორ გაჩნდა სიტყვა“, რომლის ბოლო ორი თავი საკუთარ სახელებს ეხებოდა. შემდგომში ჟურნალ „პიონერის“ რედაქციამ მთხოვა პასუხი გამეცა მკითხველთა მრავალრიცხოვან შეკითხვებზე, რომლებიც ადგილთა ვინაობას შეეხებოდა. ასე დაგროვდა საკმაოდ დიდი მასალა, რომლის გადამუშავებისა და გაფართოების შედეგად გაჩნდა ეს წიგნი“.





წიგნი შედგება შემდეგი თავებისაგან: „რა გქვია შენ“, „ქართული გვარები“, „სადაც ვშობილვართ, გავზრდილვართ“, „იცი თუ არა?“, „ქართული სახელები“. ამ თავებში ავტორი გვესაუბრება მრავალ საინტერესო საკითხზე მაგალითად, საიდან გაჩნდა ესა თუ ის სახელი ან გვარი. განხილულია გვარის თავისებურება სხვადასხვა ენაში, სახელებისაგან წარმოშობილი, დახასიათების შემცველი, ხელობის, თანამდებობის, სადაურობის აღმნიშვნელი, სხვადასხვა საგნის სახელწოდებისაგან ნაწარმოები გვარები.

წიგნში ფართო ადგილი აქვს დათმობილი ტოპონიმიკის (გეოგრაფიულ სახელთა) საკითხებს, ანბანის მიხედვით ქართულ გეოგრაფიულ სახელთა ახსნაგანმარტებებს. განყოფილებაში „იცი თუ არა?“ განხილულია მსოფლიოში ცნობილი, ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის წარმოშობის ისტორია.

ბოლოს, ავტორი განიხილავს მამაკაცთა და ქალთა ქართულ საკუთარ სახელებს, მათ წარმომავლობას და მნიშვნელობას.

## მიკლუხო-მაკლაი

(მ. კოლესნიკოვი)

გამოჩენილმა მოგზაურმა მიკლუხო-მაკლაიმ მთელი თავისი სიცოცხლე ტროპიკული მხარეებისა და წყნარი ოკეანის კუნძულების ბუნებისა და ხალხის შესწავლას შესწირა. იგი ახალგაზრდობიდანვე გაიტაცა დარვინის თეორიამ. მონაწილეობდა სამეცნიერო ექსპედიციებში კანარის კუნძულებსა და მაროკოში. წელიწადზე მეტი იცხოვრა ახალი გვინეის პაპუასებს შორის და არა იარაღითა და იძულებით, არამედ მოთმინებითა და კეთილი საქმეებით, დახმარებითა და რჩევით მოიპოვა მათი მეგობრობა. მიკლუხო-მაკლაიმ ორჯერ იმოგზაურა მალაიის ნახევარკუნძულის სიღრმეში, ეწვია საადმირალოს კუნძულებს, იყო მელანეზიის კუნძულებზე და ავსტრალიაში, სადაც, სიდნეის მახლობლად, საზღვაო-სამეცნიერო სადგურიც დაარსა.

მრავალი გასაჭირი გადაიტანა, ავადმყოფობდა, მაგრამ უკან არასოდეს არ დაუხევია. გარდაიცვალა 42 წლისა, — ვერც ერთი თავისი სამეცნიერო ნაშრომის გამოცემას ვერ მოესწრო.

ცნობილი საბჭოთა გეოგრაფი, აკადემიკოსი ლ. ნ. ბერგი წერდა: „მიკლუხო-მაკლაი ეკუთვნის პირველყოფილ ადამიანთა ცხოვრების ყველაზე უფრო შესანიშნავ და თავისებურ მკვლევართა რიცხვს. მისი თავისებურება აიხსნება არა მარტო მეცნიერების სიყვარულით, არამედ კაცობრიობის სიყვარულითაც; მას მტკიცედ სწამდა, რომ ე. წ. ველურები ისეთივე ადამიანები არიან, როგორც თეთრები. მას სძაგდა მოტყუებისა და ძალადობის ის მეთოდები, რასაც გამდიდრების მიზნით ტროპიკებში შეჭრილი ევროპელები იყენებდნენ“.

აი, ამ შესანიშნავ მკვლევარისა და მოგზაურისადმია მიძღვნილი მ. კოლესნიკოვის წიგნი „მიკლუხო-მაკლაი“, რომელიც „ნაკადულმა“ გამოსცა ამას წინათ.

ვ. ძიძიგური.

# სარჩევი


რედაქციის საახალწლო მისალმება გარეკ. 2
ბრძანებულება — (ჟურნალ „პიონერის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ) 1
რ. კახიძე, თ. კიკნაძე — იდუმალი ორეული (ფანტასტიკური მოთხრობა) . . . . . 2
ჯ. ჩარკვიანი — ახალი ლექსები . . . . . . . 6
ნ. ნორაკიძე — კუნძული ტანაზე (ნარკვევი) . . . . . 8
ოქროს საწმისი . . . 10
ხ. კლდიაშვილი — დაუვიწყარი ზაფხული (ბიოგრაფიული მოთხრობა) . . . . . . 11
ე. მაჭავარიანი — სიმფონიური ორკესტრის საკრავები (წერილი) . . . . . . 14
ო. მამფორია — დიდგულა (ლექსი) . . . . . . . 18
ვიდრე ცხოვრების დიდ გზაზე გახვიდოდე
როგორ დავზოგოთ დრო . . 19
იუმორი . . . . . . 21
ბ. მუჯირიშვილი — ცხვირკეხა (მოთხრობა) . . . . . 22
ნ. ხოძა — როგორ გახდა ნადკა ნადია (მოთხრობა) . . . . 24
გამოცანები . . . . 26
შ. კვახაძე — ვ. სიდამონერისთავი (წერილი) . . . 27
შ. ხონელიძე — შინ მშვიდობით რომ მივიდეთ (საუბარი) 30
ბუნების კარი . . . . 31
ვ. ძიძიგური — ახალი წიგნები 32
თავშესაქცევი . . გარეკ. 3



გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის ზ. ფორჩხიძეს.



მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ ქვარაცხელია, ხერგოლ კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).



ჩვენი მისამართი:
თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები:
რედაქტორის—5-17-76
პ/მგ. მდივნისა და განყოფილებების—5-07-43



„ПИОНЕРИ“. На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა «ნაკადული». უე 01901 ტირ. 67.700. ბარ. ფორ. რაოდ. $4^{1}/_{2}$, ქაღ. ფორ. რაოდ. 2.
ხელმ. დასაბ. 21-67 წ. სტამბის შეკვ. 4030. გამომც. შეკვ. 972. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ფასი 20 კაპიკი


თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ? თავშესაქცევი

## ჩაინვორდი

### „მსოფლიო რუკასთან"




ჩაინვორდის ამოხსნის დასაწყისი ისრითაა ნაჩვენები. ცენტრში და წრეში მოთავსებული ასო „ა" საერთოა ყველა გამოსაცნობი სახელის დასაწყისისა და დაბოლოებისათვის. მაშ ასე, მიჰყევი ისარს **წრეზე:** მატერიკი; ქალაქი კუნძულ ხოკიადოზე; უმაღლესი მწვერვალი სამხრეთ ამერიკაში; ეთიოპიის დედაქალაქი; ქალაქი აშშ-ში.

**წრეში:** მდინარე შუა აზიაში; ნახევარკუნძული ჩრდილო ამერიკაში; მატერიკი; კუნძული და ყურე სარდინიის ჩრდილო-დასავლეთით; ყაზახეთის დედაქალაქი; ქალაქი და ყურე მდინარე კოლუმბიის შესართავთან; შტატი აშშ-ში; ქალაქი პერუში; დაბა სამხრეთ საქართველოში; ყურე ხმელთაშუა ზღვაში; მდინარე, რომელიც ერთვის ჩუკოტკის ზღვას; სახელმწიფო ევროპაში.

შეადგინა. მ. კამკამიძემ.

## „ფეხბურთი"



აქ მოცემული უჯრედების ვერტიკალურ მწკრივებში ჩაწერე ცნობილი საბჭოთა ფეხბურთელების გვარები ისე, რომ მსხვილი ხაზებით გამოყოფილ დიაგონალზე ამოიკითხო თბილისის დინამოს ერთ-ერთი ფეხბურთელის გვარი.

შეადგინა ორჯონიკიძის რ-ნის სოფ. ძირულას საშ. სკოლის X კლ. მოსწ. **მაყვალა ჭიპაშვილმა.**

## თავსატეხი

შენს წინაშეა ერთიმეორეში ჩამჯდარი ოთხი წრე, რომელიც დაყოფილია სექტორებად. წრეების ცენტრში ჩაწერილია რიცხვი **25.** ყოველი სექტორი დაყოფილია სამსამ ნაწილად. თითოეულ ნაწილში ჩაწერე 1-დან 24-ის ჩათვლით რომელიმე ერთი რიცხვი ისე, რომ ერთმანეთის მოპირდაპირე სექტორებში ჩაწერილ რიცხვთა ჯამი, ცენტრში მოთავსებული რიცხვის — 25-ის ჩათვლით, უდრიდეს 100-ს.




## პასუხი № 12-ში მოთავსებულ „თავშესაქცევზე"

### კროსვორდი

**ჰორიზონტალურად:** 1. რუსთაველი; 3. ნახიმოვი; 5. ავლანეთი; 6. ათალაი; 8. მამალი; 10. მაყალო; 12. ივლისი; 14. ანტანტა; 16. მიხაკი; 18. შილერი; 20. კიროვი; 22. „მერანი"; 24. ამარილდო; 26. დრაიზერი; 27. გლაზუნოვი.

**ვერტიკალურად:** 2. ჭურვი; 4. „სლავა"; 7. შამათი; 9. ათეული; 11. მაჭავარიანი; 13. გამსახურდია; 15. ილინსკი; 17. ავსტრია; 19. ჭერამი; 21. „ავრორა"; 23. მდელო; 25. კრავი.

### გეოგრაფიული სახელები

აბაშა; აგარა; აჭარა; ანაგა.

### შვიდი მდინარე

ამური; აბაშა; არაგვი; ალგეთი; ანგარა; ალაზანი; აჭარისწყალი.

### შარადა

თხილამური.




მხატვარი ედ. ამბოკაძე.

ИНДЕКС 76157

ეროვნული ბიბლიოთეკა